შედგენილი და გამოცემული დეკ. დ. ღამბაშიძისაგან.

მეფე დავით აღმაშენებელი.

КУТАИСЪ
ТИПОГРАФІЯ ЖУРНАЛА «МЦКЕМСИ» (П. Д. ГАМБАШИДЗЕ).

37348

გელათის მონასტერი

ეს

ცხოვრების აღწერილობა

მეფის დავით III აღმაშენებელისა.

შედგენილი დეკანოზის დავით დამბაშიძისაგან.

გამოცემა მეორე.

საქართველოს აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук

КУТАИСЪ
ТИПОГРАФІЯ ЖУРНАЛА „МЦКЕМСИ“ (П. Д. ГАМБАШИДЗЕ).
1893

Дозволено цензурою. 28 Декабря 1887 г.

გადმობეჭდილ არს 1887 წლის «ᲔᲬᲣᲔᲛᲡᲘ»-ს ჟურნალიდგან.

გელათის მონასტერი.

ქალაქ ქუთაისიდგან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრით, რვა ვერსის მანძილზე, პატარა კლდის ციცაბო დალმართზე მდებარეობს გელათის მონასტერი, რომელიც წარმოგვიდგენს დღეს საქართველო-ეიზანტიის ხელოვნების ნაშთს. ეს მონასტერი არის წმიდა ადგილი მთელი დასავლეთი საქართველოისა. იგი არის საუკეთესო ძეგლი მისი დამაარსებელისა და ამ მხარეში საუკეთესო ხანის დასაწყისისა. *) სიტყვა გე-

*) მონასტრის გზა ქუთაისიდგან ვაივლის ჯერ ურიების უბანში, გადასჭრის ერთ მაღალ ქედს და შემდეგ ჩაეშვება ჭალაში, რომელზედაც მიმდინარეობს მდ. წყალწითელა. დღეს აქ გაუვანილია ტყიბულის რკინის გზის ტოტი და რკინის გზის სადგურიდამ ამ მონასტრამდის სამი ვერსია. მათ იმპერატორებითი დიდებულებათა მემკვიდრე ცესარევიჩით და ბრწყინვალე ამალითურთ კეთილ ინებეს დათვალიერება ამ შესანიშნავი მონასტრისა 13-ს ოკტომბერს. როდესაც დაათვალიერეს მონასტერი წმიდის გიორგის ეკლესიაში, მათ იმპერატორებითი დიდებულებათა მიერთვა ჩვენგან რუსულად შედგენილი ეს აღწერილობა. წიგნები ყოვლად უმოწყალესად მიიღეს და მადლობა გამოგვიცხადეს.

მათი იმპერატორებითი დიდებელებათა მობრძანების გამო ამ მონასტერში მშვენიერი გზატკეცილი გაიყვანეს რკინის გზიდამ და წყალწითელაზედ მშვენიერი რკინის ხიდი გააკეთეს.

ლ ა თ ი, რომელსაც უწოდებენ ამ მონასტერს, არა-
ფერს არ ნიშნავს. მონასტრის ნამდვილი სახელი არის
გაენათი, ანუ გენათი, რომელიც წარმომდგარა ბერძ-
ნულის სიტყვის „გენაფლიაკონ"-ისაგან და ნიშნავს
დაბადებას. ალბად ასეთი სახელი ეწოდა მონასტერს
იმისა გამო, რომ მონასტრის უმთავრესი ტაძარი არის
აღშენებული ღვთის-მშობლის დაბადების სახელობაზე.

ამ მონასტრის გარშემო ბევრი ძველი სახსოვ-
რებია ქრისტიანობის დროისა. მონასტრის ცოტა მო-
შორებით დღესაც არის ფერისცვალების სავანე მო-
ნაზონ ქალთათვის. ეს სავანე აღუშენებია მეფე და-
ვით აღმაშენებელს. ქედზე, რომელიც ზემოდგან
დასჩერებია მონასტერს, დღესაც არის ნანგრევები
სამი ძველი ეკკლესიებისა. ერთი ამ ეკკლესიათაგანი
გარეთ და შიგნით საუსეა სასაფლაოებით, რომელნიც
გამოქვაბულნი არიან კლდეებში და რომლებსაც მი-
ფარებული აქვსთ პრტყელი ქვები.

ადგილი, რომელზედაც მონასტერი არის აღშე-
ნებული, მშვენიერ სურათს წარმოუდგენს მნახველს.
მონასტერს გარშემო ტყე არტყია. თვით მონასტერი
მდებარეობს დალმართის ზემო ნაწილზე, საიდგანაც
კაცი დასჩერებია წყალ-წითელას ჭალებს, რომლებ-
საც ამშვენებენ ტყეები, ვენახები და სახნავი მიწები.
ამ ჭალაში აქა-იქ აყუდებულნი არიან ეკკლესიების
და კოშკების ნანგრევნი. მონასტრიდგან ჩრდილოე-
თით მოსჩანან მაღალი მთები, რომელთა შორის

გარეგანი სახე მონასტრისა.

მთელ იმერეთში შესანიშნავია ხ ო მ ლ ი ს ქედი. ეს ქედი ჰყოფს მდ. რიონის და ცხენის წყლის სათავეებს და მედიდურად დასჩერებია სხვა ქედებს. მონასტრის უკან გამწკრივებულნი არიან თეთრი კლდეები, რომლებზედაც არაფერი მცენარეობა არ მოიპოვება.

მონასტერს გარს ზღუდე აქვს შემოვლებული. ზღუდის შიგნივ არის ეზო, რომლის გარშემო აღშენებულნი არიან შენობები მონასტრის ძმათა საცხოვრებლად. ამ შენობათა შორის ყველაზე შესანიშნავი ყოფილა ერთი ძველი და ვრცელი შენობა, რომელიც უწინ მონასტრის ძმათა ტრაპეზად (პურის საჭმელი სახლი) ყოფილა. ამ შენობის დღეს მხოლოდ კედლები და დერეფანი-ღა არის დარჩენილი. მონასტერში არის სამი ტაძარი, რომელნიც ჩამწკრივებულნი არიან ერთი ერთმანერთის მახლობლად. ამ ტაძრებს შორის უფრო დიდი და ვრცელი ტაძარი არის ღვთის-მშობლის დაბადებისა, აღმოსავლეთის მხრით არის პატარა ტაძარი წმიდა გიორგისა, ხოლო დასავლეთით წმ. ნიკოლოზისა. ამ ეკკლესიებში წმ. გიორგის ტაძარი უფრო ძველი დროისა უნდა იყოს, ხოლო წმიდა ნიკოლოზისა წარმოგვიდგენს პატარა ექვტერს.

———

როდის და ვისგან არის აღშენებული გაენათის მონასტერი?

გაენათის მონასტერი აღუშენებია საქართველოს მეფეს დავით აღმაშენებელს, რომელიც მეფობდა 1089—1125 წლებში. პირველად ეს მონასტერი იყო

მღვდელ-მონაზონთა სავანე; მაგრამ შემდეგ და სახელდობრ XVI საუკუნის პირველ ნახევარში იმერეთის მეფემ ბაგრატ III, რომელიც იყო ძე ალექსანდრე II (1510—1548) და აფხაზეთის ქათალიკოსმა მალაქიამ დაარსეს აქ ეპისკოპოზის კათედრა, სადაც ეპისკოპოზად დააყენეს მელქისედეკ საყვარელიძე. ამ ეპარქიის სამზღვრები, როგორც მოგვითხრობს ერთი გუჯარი, ყოფილა ქუთაისი, რიონი, ყვირილა, კაცხი, ხრეითი და რაჭის ქედი, ე. ი. ამ ეპარქიას შეადგენდა მთელი ოკრიბა და არგვეთის ნაწილი. გელათის საკრებულო ტაძარი გაამდიდრეს თავიანთი შეწირულობაებით საქართველოს მეფეებმა და მმართველებმა; ამგვარ შეწირულებათა ეკუთვნოდენ: დასახლებული სოფლები, ოქროს და ვერცხლის ნივთები, სხვა-და-სხვაგვარი ძვირფასეულობანი, ხელნაწერები და სხ. როცა ბიჭვინტის საპატრიარქო გაუქმდა, გელათში გადმოტანილ იქმნა ბიჭვინტის მთელი საუნჯე; ამის შემდეგ გელათში ხშირად ჰქონდათ ხოლმე საცხოვრებელი ადგილი აფხაზეთის ქათალიკოზებსაც.

მეოცე წელს თავის ორმოცის წლის მეფობისა (რომელიც წარმოგვიდგენს განუწყვეტელ გამარჯვებათა და წარმატებათა) კახეთის შემოერთების და სელდ-ჯუკებზე ალგეთის და ხრამის მინდვრებში ძლევა-მოსილობის სახსოვრად დავით ალმაშენებელმა, როგორც უწოდებს მას ისტორია, ალაშენა გაენათის

მონასტერი. თუმცა დავითი იძულებულ შეიქმნა ამ მონასტრის დამთავრება ეანდერძნა თავის მემკვიდრისათვის, მაგრამ სამაგიეროდ მან დაუტოვა თავის შვილს დიმიტრის სამკვიდროდ იმდენად გაძლიერებული და მოწყობილი სამეფო, რომ მან, სამეფომ, მთელი საუკუნე, მონგოლების მიერ დარბევამდის, შესძლო სახელოვანად ბრძოლა წინა აზიის ძლიერ მუსულმანებთან.

გელათის მონასტერზე, დღიდგან მისი დაარსებისა, უმთავრესი და განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა ჰქონდათ მიქცეული პირველად ივერიელ მეფეთა და ბოლოს, როცა სამეფო დანაწილდა, იმერეთის მეფეთაც. გელათის მონასტერი, როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, გაამდიდრეს საქართველოს მეფეებმა და მმართველებმა თავიანთი შეწირულობაებით; ასეთ შეწირულებათ ეკუთვნოდენ დასახლებული სოფლები, ოქროს და ვერცხლის ნივთები, სჩვა-და-სხვა ძვირფასეულება, ხელნაწერი და სხვა. მონასტრის პირველმა დამაარსებელმა, დაკით აღმაშენებელმა შესწირა მონასტერს ძვირფასი გვირგვინები და გულზედ დასაკიდებელი მარგალიტის ძაფები, რომელნიც მან წაართვა მუსულმანთა, აგრეთვე ამ მონასტერს შესწირა სახელმწიფოდ შერიცხული ორბელიანთ ერთი ოჯახის დიდი მამულები; დავითმა შეჰკრიბა გელათში ღვთის მოსავნი კაცები, სახელ-განთქმულნი თავიანთი წმიდა ცხოვრებით და

ქველ-მოქმედებით, როგორც მთელი თავის სამეფოდამ, აგრეთვე შორეული ქვეყნებიდგანაც. ბოლოს მან გადმოიტანა კლარჟეთიდგან (ეხლანდელი ართვინის ოლქის) სახელ განთქმულის ხახულისა ღვთის მშობლის ხატი, დახატული, როგორც ზეპირ გარდმოცემა მოგვითხრობს, მახარებლის ლუკასაგან. დიმიტრი I-ლმა დაამთავრა მამისაგან ნაანდერძევი უდაბნო. დავითის შვილის-შვილს, დიდებულს დედოფალს თამარს თავდაბლად მიჰქონდა ხოლმე შესაწირავად ხახულისა ღვთის-მშობლის ხატის წინაშე ყოველივე საუკეთესო ნადავლი ბის ძლევა-მოსილ მხედართაგან სისხლით ნაშოვნი, შემდეგ სპარსეთის ხელ-დქუკებზე შამხორის ლროს გამარჯვებისა 1023 წელში, თამარმა შესწირა ამავე ხატს გულზე დასაკიდებელი ძვირფასი მარგალიტის ძივები და ბაირალი ხალიფისა, რომელიც ამ ჩხუბში წაართვეს მტერს.

ამიერ კავკასიის ზემოდ მოხსენებულ გამგეთა ლროს (1109—1212 წ.) გელათის მონასტერი მდიდრდებოდა და ჰკვაოდა, მის საერთო სუფრაზე (трапеза) იკრიბებოდა თურმე, როგორც ეიცით გარდმოცემით, რომელიც ლღესაც დაცულია ამ მონასტერში, სამასამდე ბერ-მონაზონი. მაგრამ სამეფოში მომხდარ ცვლილებათა: მონგოლთა თავდასხმამ, სამეფოის წვრილ-წვრილ სამფლობელოებად დანაწილებამ და სხვა ხელ-შემშლელ გარემოებათა ქართლში და იმერეთში მეცამეტე საუკუნის დასაწყისიდამ,

რასაკვირველია, ცუდად იმოქმედეს გელათის მონასტრის კეთილ-დღეობაზედაც.

1509 წელშია თათრებმა, ისარგებლეს რა საქართველოის მეფეებში ერთმანერთში ჩხუბით, მთლად გადასწვეს ქუთაისი და გელათის მონასტერიც ძალიან დააზარალეს. მაგრამ იმერეთის მეფე ბაგრატ III-ემ*) შესძლო ამ მტაცებელთა გარეკა თავის სამეფოდამ და გადმოიტანა გელათში ახალციხის მაზრიდამ, რომელიც ამ დროს უკვე თათრებას ხელში იყო, აწყვერის ღვთის მშობლის ხატი. შემდეგ, XVII საუკუნის ნახევარში იმერეთის და აფხაზეთის ქათალიკოსი ზაქარია, რომელიც შეავიწროეს თათრებმა, გადმოსახლდა გელათში, სადაც გადმოასვენა ბიჭვინტის

*) ამ ბაგრატს, როგორც სჩანს მეფის ვახუშტის ისტორიისაგან, კახეთის მეფე ლევანთან და ქართლის მეფე გიორგისთან ერთად მონაწილეობა მიუღია იესო ქრისტეს სასაფლაოს განთავისუფლების საქმეში. თუმცა ეს ცნობა მოხსენებულია მარტო ვახუშტის ისორიაში, მაგრამ ამასვე მოწმობს გამოჩენილი მოგზაური მურავიევი, რომელსაც არა ერთ გზის მოუვლია წმიდა ადგილები. ბ. მურავიევი თავის თხზულებაში „საქართველო და სომხეთი“ ამ ცნობას ნამდვილ ისტორიულ ფაქტად ასახელებს, რადგან მას თავის თვალით უნახავს წერილობითი საბუთი ამ ცნობის შესახებ იერუსალიმში. ეს კითხვა დღემდის არავის არ გამოუკვლევია და, თუ ბ. მურავიევი მართალს ამბობს, ძალიან საინტერესო იქნება ამის გამოკვლევა, რადგან ჯვაროსანთა უკანასკნელი ომის შესახებ არავითარიმე ცნობები არ არის დღეს შეკრებილი.

ღვთის-მშობლის ხატი. ქათალიკოსობის გაუქმების შემდეგ, გელათი შეიქმნა სამიტროპოლიტო კათედრად. როდესაც იმერეთის სამეფო შეუერთდა რუსეთს, მაშინ ეს მონასტერი გადავიდა ჯერ მიტროპოლიტების და შემდეგ იმერეთის ეპისკოპოსების გამგეობაში.

1860 წელში ამ მონასტრის ერთი ეკკლესია გაქურდეს. ავაზაკებმა არ დაზოგეს ტაძარი, რომელიც აღაშენეს მათმა მამა-პაპებმა და რომელსაც იფარავდნენ ისინი 700 წლის განმავალობაში დაუძინებელ მტერთაგან. თუმც ზოგიერთი ძვირფასი ნივთები დაიკარგა, მაგრამ დღეს კიდევ ბევრი ძვირფასი ნივთებია დაცული გელათის მონასტრის კედლებ შუა.

გელათის მონასტერში არის სამი ეკკლესია, რომელნიც დღემდე სრულიად დაცულნი არიან. ამ სამ ეკკლესიაში ერთი უმთავრესი ეკკლესიაა, რომელიც აღშენებულია თვით მონასტრის ეზოში. ეს ეკკლესია არის აღშენებული ღვთის-მშობლის სახელობაზე; ამ ეკკლესიიდგან აღმოსავლეთის მხრით არის წმ. გიორგის ეკკლესია, რომელიც ყველაზე უძველესია, ხოლო დასავლეთით—წმ. ნიკოლაოზის ეკკლესია. უმთავრეს ეკკლესიიდგან, ორი საჟენის სიშორეზე, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრით არის აღშენებული ქვითკირის სამრეკლო, რომელსაც, მაინცა-და-მაინც, მაღალი თაღები არა აქვს. აქვე გამოდის წყარო, რომლის სათავე სდევს მონასტრის ზღუდის გარეთ 90 საჟენის მანძილზე. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრით

არიან მშვენიერი ნანგრევნი ერთი ქვითკირის შენობისა, რომელიც უწინ მონასტრის ძმათა სასადილო ოთახი ყოფილა; შენობას სიგრძე ჰქონებია 12 ადლი, ხოლო სიგანე—5. ეს შენობა დასავლეთის მხრით ყოფილა აგებული და მონასტრიდგან რვა საჟენზეა დაშორებული. მონასტერს მთლად ზღუდე აქვს შემოვლებული, რომელშიაც ორი შესავალი ქვითკირისკარებია დატანებული. ამ შენობათა გარდა მონასტრის ეზოში არიან კიდევ სხვა შენობებიც, მაგრამ ყველა ისინი უმეტესად ამ მოკლე დროში არიან აღშენებულნი.

გელათის მონასტრის უმთავრესი ტაძრის და მისი ეგუტერების აღწერილობა.

გელათის უმთავრესი ტაძარი თავისი სტოვებით მშვენიერ სანახავს წარმოგვიდგენს. ეკკლესია და სტოვები მორთულნი არიან ქანდაკებით და მაღალი გუმბათით, რომელიც მთელს შენობას ამშვენებს. ამ ტაძრის შენობაში მნახველი ვერ შენიშნავს იმ სიმშვენიერეს, რომელიც დღემდის ნათლად იხატება ქუთაისის ბაგრატის ტაძრის ნანგრევებზე. ქვები, რომლითაც არის ნაშენი ტაძარი, მეტად დიდები არიან, განსაკუთრებით კუთხის ქვები. ერთ კუთხის

ქვას *) სიგრძე და სიგანე აქვს თითო საჟენი. თუმც ტაძრის გარეგანი შეხედულობა მაინც-და-მაინც მეტად მშვენიერი არ არის, მაგრამ ნაცვლად ამისა ტაძრის შინაგან მორთულობას თავისი სიმშვენიერით და ხელოვნური ნაკეთებობით აღტაცებაში მოჰყავს მნახველი. ტაძარს აქვს ჯვრის სახე. უმთავრეს ტაძარს შიგნიდგან სიგრძე აქვს 49 ადლი, ხოლო სიგანე—25, სიმაღლე თვით გუმბათის უმაღლეს ნაწილამდე აქვს 46 ადლი; გარედგან ტაძარს სიგრძე აქვს 51 ადლი, ხოლო სიგანე—37. სამსხვერპლო იყოფება ტაძრიდგან კანკელით; საკურთხეველისაგან ტაძარი იყოფება კედლით, რომელსაც ზემოდ სასიარულო თაღი აქვს; სალაროსა და საკურთხეველს შუა არის კედელი.

გელათის ტაძრის კედლებზე დახატულნი არიან ბევრი წმიდანები და საქართველოს ისტორიული პირები. უკანასკნელების რიცხვთა შორის მეტად შესანიშნავნი არიან მარცხენა კედლებზე. ჩრდილოეთის შესავალ კარებს შუა გამოხატულებანი დავით ალმაშენებელისა, იმის დროის კათალიკოსის ევდემონის, ბაგრატ III, იმერეთის მეფის და მისი მეუღლის

*) ეს ქვა, როგორც მოგვითხრობს ზეპირ-გადმოცემა დაუდვია თვით დავითს თავისი საკუთარის ხელით; და ვისაც დავით ალმაშენებელის ხელის ბეჭედი უნახავს, ის კიდევაც დარწმუნდება ამაში.

ელენესი, გიორგის და რუსუდანის და მოციქულთ-სწორის კონსტანტინე და ელენესი. გიორგის და რუსუდანს შუა გამოხატულია ძე მათი ბაგრატი.

დავით აღმაშენებელი დახატულია სამეფო ტანთ-საცმელში, თავზე ახურავს გვირგვინი, რომელიც ჰგავს თამარის და მისი მამის გიორგისას და რომელნიც ბეთლემის ტაძრის კედლებზე არიან დახატულნი. აღმაშენებელს მარცხენა ხელში უკავია მისგან აღშენებული ტაძრის გეგმა, იმავე ხელის დიდ თითზე გამოხატულია შესანიშნავი ბეჭედი, რომელიც დღემდის ინახება ამ მონასტრის სალაროში. ამ ბეჭედს აქვს პატარა კიდობანი წმიდათა ნაწილებით შესანახავად და მის ზედა პირზე ამოჭრილია ხატი წმ. გიორგისა. ბეჭედის სიდიდე უნდა იყოს მიზეზი, რომ ხალხი დღესაც ძალიან ღონიერ კაცად სთვლის დავით აღმაშენებელს.

ეს ბეჭედი. როგორც მოგვითხრობს ზეპირგადმოცემა, ჰქონებია დავით აღმაშენებელს სახელმწიფო ბეჭდის ნაცვლად; კეთილმსახური მეფე როცა ხელს აწერდა ხოლმე რომელიმე ქალალდს, ანუ როცა რომელიმე საქმის გადაწყვეტა სურდა, აღებდა თურმე ბეჭდის კიდობანს, წმიდათა ნაწილებს სთხოვდა შემწეობას და ხელმძღვანელობას.

ტაძრის კედლებზე და სვეტებზე, რომლებზედაც დამაგრებულია თაღი დახატულნი არიან წმ. მოწამენი ორივე სქესისა, აქვე დახატულნი არიან იმერე-

თის ქათალიკოსი ზაქარია და მეფე ალექსანურე, რომელნიც სცხოვრებდნენ მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევარში. ამ ტაძრის კედლის მხატვრობა შაინც-და-მაინც ძალიან შესანიშნავი არ არის. ასრეთ მხატვრობას საქართველოს ყველა ძველ ტაძრებში შეხვდებაკაცი. მაგრამ ტაძრის აღშენების დროის მოზაიკური გამოხატულება ღვთის-მშობლისა საკურთხეველის თავზე, კანკელის ზემოდამ, წარმოგვიდგენს უმშვენიერეს ნიმუშს საშუალო საუკუნოების მოზაიკურ მხატვრობისას, რომელიც დღეს 4—8 ადგილს თუ არის დაცული მთელს საქრისტიანოში, თორემ სხვაგან არსად. იმ გამოხატულებაში თვით ნამდვილი სურათი მეტის-მეტი სინამდვილით და ხელოვნებით არის გაკეთებული ქვებით და მასთან დაცულია თვით უმალლესი თვისება საგნისა. ღვთის-მშობელი გამოხატულია ოქროს მინდორზე, სადაც ის სდგას ჯიგრის ფერ მიწაზე; მას ოდნათ უკიდია ხელი თავის მწვანე სახურავისთვის, რომელზედაც ზის მისი ღვთაებრიები ძე, რომელიც ერთი ხელით იძლევა კურთხევას, ხოლო მეორე ხელში უკავია გრაგნილი. ოქროს ფოჩი ყოველად წმიდა ღვთის-მშობლის სახურავისა ხელოვნურად ხატავს ტანთ-საცმლის ელვარებას. ეს სამოსელი უწევს თვით ღვთის-მშობლის ფეხებამდის და მოსავს მის მშვენიერ ტანადობას. გაბრიელ და მიხაილ მთავარანგელოზნი მუხლ-მოდრეკილნი სდგანან იქით-აქეთ და ტანთ აცვიათ მტრედის ფერი

სამთავრო კვართი ნიშნად თავიანთი სამსახურისა; ჯვარის ფრად შემორტყმული აქვთ გინგილები, რომელნი მორთულნი არიან ძვირფასის ქვებით; თეთრი ფრთების ბოლოები ბრწყინავენ ცისარტყელის მსგავსი ფერით, ხოლო ხელებში უკავიათ ბრწყინვალე რგოლები; ამ რგოლებში ჩართულის ხელით სწერია: ის. ქს., რომელიც ერთხელ თვით მთავარ-ანგელოზმა ახარა ქალწულს.

გაენათის უმთავრესი ტაძრის კანკელი ორ-სართულიანია და გაკეთებულია თეთრი თლილი ქვისაგან; მასში შესანიშნავი ხატებია: 1) ხატი მაცხოვრისა, რომელსაც სიმაღლე აქვს ერთი ადლი და თუთხმეტი გოჯი, სიგანე ერთი ადლი და 7 გოჯი, დახატულია დიდის სახით მთელს ფიცარზე ბიზანტიურ გემოვნებაზე; მაცხოვარის სამოსელი ვერცხლისაა, რომელიც მოოქვრილია; თავზე ახურავს მრგვალი გვირგვინი, რომელზედაც სამი წითელი მრგვალი ქვაა გაკეთებული, ერთ ამ ქვაზე არის წარწერა.

2) იმავე სახის მაცხოვრის ხატი, რომელიც დახატულია ფიცარზე და შემოვლებული აქვს ოქროს ქობა.

3) ხახულისა ღვთისმშობლის ხატი. ეს ხატი ჩასმულია განიერ ოქროს არშიაში, რომელსაც ზემოდამ აქვს განიერი ვერცხლის მოჭედილობა; ხატი ღორთულია მარგალიტებით, დიდრონი ძვირფასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვებით და ანგელოზები, წმიდანების და მახარებელთა შეუდარებელი მინაქრიანი გამოხატულებით. ხატზე არის სამი ზედ-წარწერა. პირველი წარწერა არის დაწერილი ლექსად ძველ ქართულ ენაზე, რომელშიაც თამარი ჯერ მიიქცევა ღვთისა, საუკუნო ძის და ყოვლად წმიდა ქალწულისადმი და შემდეგ ამბობს, რომ ის სწირავს ხახულისა ღვთისმშობლის ხატს ხალიფის ბაირაღს მდიდრული გულ-საკიდით, რომელიც მისმა მეუღლემ დავით სოსლანმა წაართვა სულთანს და ათაბეკს (აბუბეკრ ხვარასანს) შამხორის ჩხუბის დროს 1203 წელში; მეორე წარწერაში თამარი ახსენებს ღვთისმშობელს, თავის ნათესაობას, მეფის და წინასწარმეტყველის დავითის შთამომავლობისა მებრ, ამავე ნათესაობაზე, როგორც მოწმობს ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე, არის ლაპარაკი მესამე წარწერაშიაც, რომელიც დაუწერია დავით I, როდესაც მას ეს ხატი მოურთავს. აი ეს ლექსი:

«ცათა შემქნელო, ღვთაებავ დაუსაბამო,
ძეო, მუოფო დაუსაბამო და საუკუნო,
სულო წმიდაო, შემქმნელო ყოვლისა არა
რაისაგან.
საჰებაო, სრულო ერთ ღვთაებასა შინა!
შეჰქმენ რა მიწისაგან პირველად კაცი,
შენ განაგე მიწადვე მიქცევა ურჩ ქმნილისა,

როდესაც იგი მიზიდულ იქმნა უკვდავებისაგან
სიკვდილ.
შობილმან შენგან ლირს გვყო განახლებად,
ბნელისაგან განათლებად და ნათლითა განგვაბრწყინა,
თვით ივნო ჩვენთვის და განკურნა ჩვენი ვნებანი,
შენგან სიტყვით შობილი, ჭოი, ქალწულო,
რომელზედაცა დავითი
მხიარულ იყო, წინახედვიდა რა ძესა ღვთისასა
შენ ძედ.
შენ მე, თამარი,—შენი მტვერი აწ და მარადის,
ლირს მყავ ცხებად და შენთვის აღრჩეულად
ზეცასა ედემსა შინა!—მე, უკვე სამხრეთისა და
ჩრდილოეთისკენ
მფლობელი, მოგიძღვნი შენ ძღვნად
ხალიფის დროშასა და ფარღულსა.
დავითი მსროლელი მსგავსად ეფრემის შვილთა,
აღიჭურვა და დასცა სულთანი ათაბაგისთანა,
ირანში აღდგომის დროს მათზედა,
მხედრობათა ჩვენთა, შენზედ მსასოებელთა,
ქალწულო,
შემუსრეს და მოსრნეს აგარიანნი,
იმათი ბანაკიდამ დოვლათის ამ ნაწილს
შენ ძღვნად მოგართმევ, ევედრე ჩემთვის ღმერსა
და ძესა შენსა.

დელოფალო ყოვლად პატიოსანო, განგებუ-
ბულებითა მადლისათა,
ქალწულებრივითა სისხლითა შენითა საიდუმ-
ლოდ ძისა ღვთისა ჩამსახველო
და მშობელო, გამოსახსნელად კაცთა! —
შენ, განმამშვენებელო, განმამშვენე და მადი-
დებელო მადიდე მე,
თამარი, სახელოვანი თესლისაგან დავითისა:
ამისათვის მე აწ ვისურვე შემკობა ხატისა შენისა
დედისა ძითურთ, დაგვიფარე დედა ძითურთ».

ყველა იმ ძვირფას ქვებზე, რომელნიც დღეს ამ ხატზე მოიპოვებიან, უდიდესი და უძვირფასესი იყო ერთი ქვა, რომელსაც **კედელას** ეძახოდენ. ეს ხატი 1859 წელში მოიტაცეს და გაქურდეს ავაზაკებმა. ეს ძვირფასი ქვა შეწირული იყო თამარისაგან. ზეპირგადმოცემა მოგვითხრობს, რომ ეს ხატი დახატულია წმ. მახარობელის ლუკასაგანო.

4) **აწყვერის ღვთისმშობლის ხატი.** ეს ხატი ხახულისა ღვთისმშობლის ხატის მარცხნივ არის ჩაჯენილი კანკელში. აწყვერის ღვთისმშობელი თავისი ისტორიული მნიშვნელობით და სიმდიდრით ვერ შეედრება პირველს, თუმც მასაც აქვს ოქროს საპოსელი და მინაქრიანი მხატვრობანი.

5) **გაენათის ღვთისმშობლის ხატი.** ეს ხატი გაკეთებულია მოოქვრილი ვერცხლისაგან. ხატი ძა-

ლიან ძველი დროისაა და მის მოართვაზე უშროშიათ იმერეთის ბევრ მეფეებს.

6) **მღოცველნე ღვთისმშობლის ხატი საუკუნოშეთ.** ეს ხატი დახატულია ფიცარზე, რომელსაც სიმაღლე აქვს ორი ადლი და 11 გოჯი და სიგანე — 1 ადლი და 12 გოჯი. აქვს ვერცხლის სამოსი. ამ ხატზე გამოხატულნი არიან წინასწარმეტყველნი, 12 მოციქულნი და სხვა წმიდანი. მარცხენა მხარზე გამოხატულია მეფე ბაგრატ-კურატი მუხლ მოდრეკილი, ხელები აშვერილი აქვს ღვთისმშობლის ფერხამდე და ევედრება მას.

7) **ორი ხატი მაცხოვრისა,** რომლებზედაც არის წარწერანი ბერძნულს ენაზე. ამ ხატში ერთი, როგორც სჩანს წარწერისაგან, მოურთავს XIII საუკუნეში დავით ნარინს, ძეს რუსუდანისას, რომელიც იყო ქალი შესანიშნავი თამარისა.

კანკელზე არის სხვა ხატებიც, რომლებზედაც არიან წარწერანი უკანასკნელი დროის მეფეთა, მაგრამ ეს ხატები მაინცა-და მაინც შესანიშნავნი არ არიან არც სიძველით და არც თავისი ძვირფასი მოართულობით.

ტაძრის მარჯვენა გვერდით არის კიდობანი, რომელიც მშვენიერად არის გაკეთებული მუხის ხისაგან. ამ კიდობანს შიგნით მოფენილი აქვს ვერცხლის თხელი ფურცელი. ამ ფურცელზე არის წარწერანი იმ წმიდათა სახელებისა, რომელთა ნა-



კანკელი გელათის მონასტრისა.

წილები ინახებიან ამ კიდობანში. ეს კიდობანი მოურთავთ თავისი მეცადინეობით ახალი ბეთონის სიმონ კანანელის მონასტრის ძმათა, რომელთა თავი შეიფარეს გაენათის მონასტერში სათბერეთთან უკანასკნელი ომის დროს.

საღმრთო ხატების შემდეგ შესანიშნავნი არიან კედლებზე ისტორიული და ეკლესიური მხატვრობანი, რომელნიც უნებლიედ იზიდავენ კაცის ყურადღებას; ეს მხატვრობანი დღემდე ამშვენებენ ტაძრის კედლებს. კანკელის მარცხნით, იქ, სადაც გამოხატულნი არიან მოციქულთ-სწორნი მეფე კონსტანტინე და დედოფალი ელენე, როგორც პირველნი მშენებელნი ეკლესიისა, შესანიშნავი იყო აფხაზეთის ქათალიკოზის ევდემონის სურათი; XI საუკუნეში ეს ქათალიკოსი დიდ მეფე დავით აღმაშენებელთან ერთად აშენებდა გელათის ტაძარს თავისი საკათედრო ტაძრის ბიჭვინტის მსგავსად. თვით დავითს ხელთუპყრია გელათის ეკლესია, ტანთ აცვია მწვანე წამოსასხამი, თავს ახურავს გვირგვინი. შემდეგი დროის მეფეების სურათებისაგან განირჩევა დავითი გრძელი წვერით და ახოვნებით, დავითის მარცხნივ სდგანან ბაგრატი და მეუღლე მისი ელენე და არა დავითის დიდნი წინაპარნი, რადგან მათ დროს ჯერ კიდევ არ იყო აღშენებული გელათის ტაძარი, ეს ის ბაგრატია, რომელმაც განათავისუფლა იერუსალიმი, და რომელიც მეორე პირია ბაგრატებ შორის, რომელ-

ნიც მეფობდნენ იმერეთში XVI საუკუნის დასაწყისში. ბაგრატის წამოსასხამი ემსგავსება დავითისას, მხოლოდ ჯიგრის ფერისაა- გვირგვინი კი სულ სხვა სახისა არის; გრძელი ულვაშები წვერის მაგიერ გვიხატავენ დროის შესაფერ ჩვეულებას. ბაგრატი დახატულია დავით აღმაშენებლის მახლობლად, რადგან ბევრ შემწეობას უწევდა დავითისაგან დაარსებულ უდაბნოს, რომელსაც შესწირა ღვთის-მშობლის ხატი. იმერეთის ძეფენი, რომელნიც მეფობდენ ბაგრატამდის მაინცა-და-მაინც შესანიშნავნი არ არიან.

მეფეების გამოხატულებათა ზემოდ დახატულია ერთი დიდი სურათი, რომელიც წარმოგვიდგენს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს იერუსალიმში შესვლას. შეიძლება ამ სურათს რამე დამოკიდებულობა ჰქონდეს ბაგრატის დიდებულ შესვლასთან წმ. ქალაქში, როდესაც ამ მეფეს თან ახლდენ ქართლისა და კახეთის მეფენი, რომელნიც ყოველთვის ეხმარებოდნენ ბაგრატს. ამ სურათს ზემო გამოხატულია ქრისტეს აღდგომა, რომელსაც უწინ სულ სხვანაირად ხატავდენ, ე. ი. აღდგომის ნაცვლად ხატავდენ იესო ქრისტეს, რომელსაც ჯოჯოხეთიდგან გამოჰყავს ძველ ალთქმაში მცხოვრებ მორწმუნე მამათა სული. ძველი დროის მხატვარნი ხატებისა ვერ ჰბედავდნენ აღდგომის საიდუმლო წამის გამოხატვას, რადგან ეს წამი დაფარულ იქმნა თვით მენელ-საცხებელ დედათა და მოციქულთაგან; დღეს უფრო გათავამდენ მხატველ-

ნი, და ნაცვლად მისა, რომ დახატონ მხედარნი, რომელნიც, სახარების სიტყვებისამებრ, მიწის ძვრისაგან შეშინებულნი დაეცენ მიწაზე ნახევრობით მკვდარნი, მათ მძინარებად ხატავენ, როგორც თვით ამ მხედართ მოიცრუეს ფარისეველთა შთაგონებით, ან კიდევ მხედარნი სდგანან და პირდაპირ მისჩერებიან აღდგომილს მაცხოვარს, ვერრაიცა შესძლეს თვით მოციქულებმა. კედლებზე თანჯრების შუა დახატულია ორი დიდი მოწამე თეოდორე, ტირონი და სტრატილატე. ამ სურათის ზემოდ დახატულია მაცხოვარი, რომელიც ჯვარსა სწერს ომოფორით, და მის მახლობლად თორმეტ ტახტზე მჯდომარე მოციქულები, მსაჯულნი ქვეყნისა. მეორე პირდაპირი კედელი მომდომებული აქვს ყოვლად წმიდა ქალწულის მოგონებათა. ღვთის-მშობელი დახატულია შავ ტანისამოსში, მჯდომარე სარეცელსა ზედა წინასწარმეტყველთა და მართალთა შორის. მეფე დავითი, რომელსაც ახურავს თავზე ბაგრატის გვირგვინის მსგავსი გვირგვინი, უკრავს საკრავზე, რომელიც ჰგავს ბერძნულს ჩანგსა. ამ დიდებულ კრების თავზე გამოხატულია ღვთის-მშობელი სარეცელზე, მაგრამ მწოლარე, მისი მიძინების დროს, გარს ახვევიან მას მოციქულნი და ეგებება თვით უფალი. სხვა ფანჯრებ შუა კედლებზე დახატული არის სხვა ორი დიდი მოწაფე გიორგი და დიმიტრი, ხოლო ზემოთ საიდუმლო კრება მოციქულთა, რომლებიც მოჰყავს ღრუბლებს,

რათა მისცენ უკანასკნელი პატივისცემა ყოველად წმიდა ქალწულს, რომელიც უკვე ამაღლდა თავის ღვთაებრივ ძისადმი.

სვეტებზე, რომლებზედაც დამაგრებულია თალი, დახატულნი არიან, ძველ ჩვეულებისამებრ, ორისავე სქესის, მოწამენი, რომელთაც თავის სიცოცხლე შესწირეს მსოფლიო ეკლესიის დაფუძნებისათვის; ორ უმთავრეს სვეტზე, რომლებზედაც დამაგრებულია გუმბათი, დახატულია სურათები წინამორბედისა, მისი მამის ზაქარიასი და ორ მართლ-მორწმუნე ქალების ანნასი და ელისაბედისა. ქათალიკოსებისათვის ყოფილ ადგილის მახლობლად დახატულია შესანიშნავი ზაქარია, რომელმაც გადმოიტანა აქ თავისი კათედრა, და ერთი უცნობი მიტროპოლიტი გელათისა, ხოლო ტაძრის შანიშინებზე (хоры), სადაც უწინ ორი ეგუტერი იყო. არიან კიდევ გამოხატულნი მღვდელ-მთავარნი და ორი ხატი ღვთის-მშობლის სასწაულებისა.

მთელს საკურთხეველს სამეუფო ადგილიდამ ანათებს სამი ფანჯარა; საკურთხეველის იქით-აქეთ გამოხატულნი არიან მოციქულები, რომელნიც იღებენ საიდუმლო ზიარებას, აქვე არის დახატული მაცხოვარი, რომელიც აძლევს ტრაპეზის ერთი კუთხიდგან თავის ღვთაებრივ ხორცს ექვს მოწაფეს, რომელნიც შემოსილნი არიან სამღვდელო ფილონებით, ტრაპეზის მეორე კუთხიდან მაცხოვარი დანარჩენ ექვს მოწაფე-

ებს აწოდებს სასმელს; ტრაპეზს იფარვენ ანგელოზები, მთავარ-დიაკვნების მსგავსად, და ხელში უკავიათ რიპიდები (სამწეროობელი წირვის დროს).

საუფლო ადგილს, რომელიც დანიშნულია ეპისკოპოსების და მღვდლების დასაჯდომად, ოთხი საფეხური აქვს, ხოლო ქათალიკოსისას რვა საფეხური, გარშემო დახატულნი არიან თვით მღვდელ-მთავარნი, ძველი მესაიდუმლენი ღვთის მადლისა, რომელიც გადმოდიოდა ეკკლესიის მსახურებზე: სამი (დიდი მღვდელ-მთავარი, ათანასე და პავლე ალექსანდრიელნი, კირილე იერუსალიმელი, გრიგოლი აკრაგანელი, რომლის სურათს ხშირად ხედავს კაცი საქართველოს ეკკლესიებში, თუმც ამ წმიდანის მოქმედების მოედანი იყო სიცილიაში, და პირველ მოწამე მთავარ-დიაკონი სტეფანე.

გელათის მონასტრის სალარო (ризница).

ვისაც სურს იხილოს სამეფო და საეკკლესიო ნაშთები, რომელთაგან ზოგნი დღესაც დაცულ არიან, თუმც ამდენი უბედურება გამოსცადა საქართველომ, უნდა შეეიდეს ამ მონასტრის სალაროში, სადაც სხვა-და-სხვა ძველ ნივთთა შორის ნახავს ფრიად

შესანიშნავ ნივთებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვსთ ისტორიულის მხრით. შესამოსლებში შესანიშ, ნავნი არიან:

1) სტიხარი (სამღვდელო კვართი) ფერადი ფარჩისა, რომლის ბოლო მოქარგულია სამ წყობად ვერცხლით და ოქროთი; გარდა ამისა სტიხარი მორთულია ძვირფასი ქვებით.

2) სამღვდელ-მთავრო ბისონი მოშავო და მწვანე ხავერდისა, რომელზედაც შესანიშნაი ხელოვნებით მოქარგულია ოქროთი და ვერცხლით მაცხოვრის სახე; მაცხოვარი ჯდის ტახტზე, მის გარშემო არიან დახატულნი ღვთის-მშობელი და ნათლის-მცემელი, ხოლო ქვემოთ დახატულნი არიან მეფე კონსტანტინე და ელენე, მაცხოვრის ჯვარცმა, წინასწარმეტყველნი და მოციქულნი წყობ-წყობად ბოლომდის. ბისონის სახელოებზე მოქარგულია ანგელოზთა გამოხატულებანი, გულზე მოქარგულია ხარება; შემდეგ შობა ქრისტესი, ნათლისღება, მირქმა, ფერის-ცვალება, ღვთის-მშობლის მიძინება, წმ. გიორგი და ესტატი, მჯდომარენი ცხენებზე. ეს ბისონი მორთულია ოქროს დოგმებით, რომელნიც მორთულნი არიან სხვა-და-სხვა ძვირფასი ქვებით.

3) ტილოს ომოფორი, 5 არშინი და 13 გოჯი სიგრძით და 6 გოჯი სიგანით წმ. ოქროთი მოქარგული; ომოფორზე არის მრავალი გამოხატულებანი ისტორიაში მოხსენებულ წმიდათა. ეს გამოხატუ-

ლებანი ხელოვნურად არიან მოჩითულნი მრავალი ძვირფასი ქვებით და მარგალიტებით.

4) ოლარი, რომელიც ოქროთი არის მოქარგული შავ ატლასზე და მოჩითულია მრავალი მარგალიტებით. ამ ოლარზე გამოხატულია 6 ჯვარი და 6 ანგელოზი, რომელნიც გარეშემო მოჩითულნი არიან მარგალიტებით.

5) შავი დარაის სარტყელი, რომელიც მდიდრულად, ფრიად საგულდაგულოდ და ხელოვნურად არის მოჩითული მრავალი მარგალიტებით და ოქროს დოგმებით და მასთან შემკობილია ძვირფასი ქვებით.

6) შავი ატლასის სამაჯურები, მოქარგულნი ოქროთი და მოჩითულნი სარტყელის მსგავსად მარგალიტებით და ძვირფასი ქვებით.

7) ენქერი, რომელიც მოქარგული და მოჩითულია მარგალიტებით ისე, როგორც ომოფორი.

8) ომოფორი ყორმალი ფერის ატლასისა, რომლებზედაც მოქარგულია ჯვრები და ანგელოზები.

9) პატარა სქემა ტილოსი (სამოსელი მონაზონთა), რომელზედაც მოქარგულია ოქროთი ჯვრები.

10) ქათალიკოსის შავი ბარტყულა, რომელსაც პირზე აქვს ჯვარი. ჯვარს აქვს სამ გოჯ ნახევარი სიმაღლე და სიგანე 3 გოჯი. მოჩითულია იაგუნდებით, დიდრონი ფირუზებით, შუაში აქვს მტრედის ფერი დიდი იაგუნდი და მრავალი მარგალიტები.

11) ქათალიკოსის მიტრა, რომელსაც ჯვარის

ფრად შემოვლებული აქვს სხვა-და-სხვა სიდიდის მარგალიტები, ზემოთ აქვს დიდი მოშავო და მოწითალო ფერის ინდოეთის ქვა, რომელზედაც დამაგრებული იყო ჯვარი, 16 პატარა ალმასებით მორთული; მიტრაზე არის 4 გამოხატულებანი პატარა მინაქრებზე: მაცხოვრის ჯვარცმა, იოანნე ღვთისმეტყველი, ანდრია პირველ-წოდებულის, და მაცხოვრისა ტახტზე მჯდომარე.

12) სამღვდელ-მთავრო, კამილავკის მსგავსი, მიტრა, რომელსაც გარშემო მთლად შემოვლებული აქვს სხვა-და-სხვა ზომის მარგალიტები და მორთულია მრავალი მოდიდო და მომცრო ალმასებით, იაგუნდებით და ფირუზების ქვებით.

13) სამღვდელ-მთავრო მიტრა წითელი ხავერდისა, რომელიც ჯვარის სახედ მორთულია სხვა-და-სხვა ზომის მარგალიტებით; ამ მიტრაზე არის ოთხი გამოხატულებანი მინაქრებზე: მაცხოვრისა, ღვთისმშობლისა, იოანნე ნათლის-მცემლისა და იოანნე ღვთის-მეტყველისა და 4 ანგელოზის გამოხატულებანი პატარა მინაქრებზე.

14) წმიდა ოქროს ბარძიმი, რომელიც იწონის 2 გირვანქას და 20 მისხალსა; ეს ბარძიმი მორთულია მრავალი პატარა იაგუნდებით და ფირუზებით.

15) ოქროს ფეშვუმი, რომელიც იწონის 89 მისხალს.

16) ოქროს ვარსკვლავი, რომელიც მორთულია ძვირფასი ქვებით და რომელიც იწონის 27 მისხალს.

17) ოქროს კოვზი, რომლის ტარი მორთულია ძვირფასი ქვებით.

18) ვერცხლის ჯვარი მოოქვრილი. ამ ჯვარზე არის წარწერა, რომელიც მოწმობს, რომ ეს ჯვარი ეკუთვნოდა თვით დავით ალმაშენებელს.

19) პატარა ჯვარი ძველი ვერცხლისა.

20) ოქროს ჯვარი, რომელიც არის 2 ადლი და 12 გოჯი. ამ ჯვრის ზემო პირზე გამოხატულია მაცხოვარი, ხოლო ქვემო პირზე არის ანგელოზების გამოხატულებანი, რომელნიც მორთულნი არიან ძვირფასი ქვებით. არის კიდევ ამავე ზომის ვერცხლის ჯვარი, მაგრამ მორთული არ არის.

21) ალმასის ჯვარი ქათალიკოსის მიტრაზე ნაქონი, რომელზედაც 16 მოდიდო ალმასებია. ამ სალაროშივე არიან კიდევ მრავალი ჯვრები, სამღვდელ-მთავრო კვერთხნი, რომელნიც დიდად შესანიშნავნი არ არიან.

ნივთები, რომელნიც არ იხმარებიან ღვთის-მსახურების დროს.

1) საპატრიარქო ქოშები, რომლებსაც ალბად ხმარობდენ ღვთის-მსახურების დროს. ეს ქოშები მორთულნი არიან პატარ-პატარა ძიებით და დაჭედილნი ვერცხლის ნალებით.

2) სამეფო გვირგვინი, რომელიც მოქარგულია ოქროთი და ვერცხლით და მორთულია ძვირფასი ქვებით. დიდ სიმშვენიერეს და ბრწყინვალებას აძლევს ამ გვირგვინს 7 პატარა ჯვარი, რომელნიც მორთულნი არიან სხვა-და-სხვა ფერი ძვირფასი ქვებით.

3) ოქროს დიდი ბეჭედი მეფის დავით ალმაშენებელისა, რომელზედაც ჩვენ ზემოდ ვსწერდით.

4) ვერცხლის თეეში მღვდელ-მთავრების და ჭათალიკოსების ხელის დასაბანი და მასთან საკმაოდ დიდი ვერცხლის სურა.

ძველი ხელთ-ნაწერები ეტრატებზე.

1) 3 ცალი განმარტება მათეს, ლუკას და იოანე ღვთის-მეტყველის სახარებისა. 2) მოციქულთა ეპისტოლების განმარტება. 3) იოანნე დამასკელის სწაელა სარწმუნოებაზე იულიანეს წინააღმდეგ-

4) იოანნე ოქროპირის მოძღვრებანი სხვა-და-სხვა შემთხვევებზე. 5) საზოგადო ღვთის-მსახურების წიგნი.

ქალალდზე ხელთ-ნაწერები.

1) მეტაფრაზი. 2) წმ. მამათა ცხოვრების აღწერა. 3) იოანნე დამასკელის ღვთის-მეტყველება. 4) შექმნათა წიგნის განმარტების ორი ცალი 5) ორი ცალი წიგნი, რომელნიც შეიცავენ ათინის ძველი ფილოსოფოსების სტატიებს. 6) დავითნის განმარტება. 7) გულანი 12 თვეებში სახმარებელი. 8) კითხვანი და მიგებანი მოძღვრისა და სასულიერო წოდების ცხოვრების გასწორებაზე და ცოდვებზე. 9) თეოდოტე სტუდიტის მოძღვრება მარხვაზე. 10) იოანნე კლემაქსი (Лѣствичника) წიგნი. 11) ეფრემ სირელის მოძღვრება. 12) წიგნი, რომელსაც ეწოდების ლავეხიკოსი. 13) სჯულის კანონი. 14) წმ. მამათა ქმნილებანი. 15) სიტყვების ლექსიკონი საბა ორბელიანისა.

საეკლესიო ტიბიკონი.

იოანნე ოქროპირის ქმნილებანი, სახელწოდებული «ოქროს წყაროდ».

სალმრთო წერილის წიგნები.

1) 2 ცალი დაბადებისა, რომელიც მოსკოვში არის დაბეჭდილი. 2) ისაია წინასწარმეტყველის წიგნი. 3) ახალი აღთქმა. 4) დავითნი. 5) ქებანი. 6) სამლოცველო-მთავრო კონდაკი. 3 უკანასკნელი წიგნი არის ბერძნულ ენაზე.

ამავე მონასტრის სალარო-ში ინახება სახარების საუცხოვო ცალი, რომელიც ეკუთვნის XI საუკუნეს. სახარება არის დაწერილი ეტრატზე, თითოეულ გვერდზე არის მშვენიერი მხატვრობა და მორთულობა, სახარება არის ნათარგმნი ათონის ივერიის მონასტრის ერთი ნასწავლი, წმიდა და შესანიშნავი ბერის გიორგისაგან. ამ სახარებაზე წარწერა ბერძნულ ენაზე, რომელიც დაწერილია გიორგი მთაწმინდელის ხელით, გვიჩვენებს, რომ XI საუკუნემდის ყოფილა სხვა-და-სხვა ხელნაწერები სახარებისა ქართულს ენაზედ, მაგრამ ეს ხელნაწერები ძალიან გაფუჭებული ყოფილან უსწორო თარგმნით და გადაწერისაგან. მთაწმინდელის სახარება, რომელმაც აღძრა საერთო სიხარული და გაკვირვება საქმის მცოდნეთა შორის, წარდგენილ იქმნა არქეოლოგების წინაშე, რომელთაც 1881 ინახულეს გაენათის მონასტერი. არქეოლოგების სიტყვით ეს სახარება დაუფასებელი განძია საშუალო საუკუნოების მხატვრობისა ეტრატზე და არაფრით არ ჩამოუდგება უკან, როგორც სჩანს მურავიევის სიტყვებისაგან,

ბერძნულ სწიგნებს, რომელნიც მას უნახავს პაპის სასახლის წიგნთსაცავში.

უმთავრესი ტაძარ ეკუტერები.

უმთავრეს ტაძარს აქვს ექვსი ეკუტერი ტრაპეზებით, რომლებშიაც სრულდება ღვთის-მსახურება. ეს ტრაპეზები აღშენებულ არიან იაკიმე და ანნას, წმ. მთავარ-მოწამე მარინეს, ანდრია პირველ-წოდებულის, ყოვლად მოწყალე მაცხოვრის, წმ. ნიკოლოზ სასწაულთ-მომქმედის და წმ. მოწამე ირინეს სახელობაზე.

ეკუტერში, რომელიც ტაძრის მარჯვენა მხრით არის მიშენებული ანდრია პირველ-წოდებულის სახელობაზე, როგორც მოგვითხრობს ზეპირ-გადმოცემა, არის სასაფლაო შესანიშნავის და დიდის დედოფლის თამარისა. როგორც ვიცით, თამარ დედოფალი გარდაიცვალა ქუთაისის მახლობლად, თავის ციხე-დარბაზში, რომელსაც ეწოდება «თამარის ციხე»; ამიტომ უფრო საფიქრებელია, რომ თამარი დასაფლავებულ იქმნა იმ სავანეში, რომელიც აღშენებულ იქმნა მისი წინაპარისაგან, რადგან საქართველოში დღესაც არსებობს ჩვეულება, რომლის ძალით ყველასა სურს დაიმარხოს თავის წინაპართა სიახლოვეს. ამიტომ ტყუილად ფიქრობენ ზოგიერთები, ვითომც დედოფალი თამარი დამარხულ იყოს ვარძიაში, ანუ სვანეთში, მეფე ალექსანდრემდე, რომელიც იყო

მამა სოლომონისა, გარდმოცემით ვიცით, რომ თამარ დედოფლის ხსენების დღეს, ამ ეკუტერში იხდიდენ პანაშვიდს, რაც ცხადად ამტკიცებს, რომ დიდი დედოფლის თამარის სასაფლაო ადგილი არის აქ, ამ ეკუტერში, და არა სხვა ადგილზე.

ტაძრის მარცხენა მხრით არის ეკუტერი მაცხოვრის სახელზე: ეს ეკუტერი დანიშნული იყო მეფეების სასაფლაოდ. ამ ეკუტერის კედელზე დახატულია სახელოვანი ბაგრატი და მეუღლე მისი ელენე, და ორივე გიორგი; შემდეგი დროის მეფეებში დახატულია როსტომი და სიმონი, რომელთაც არეულობის დროს ცოტა ხანს იმეფეს. სხვა ეგუტერები არაფრით შესანიშნავნი არ არიან.

სობოროს დასავლეთის კარების პირ-და-პირ სდგას პატარა ეკკლესია წმიდა ნიკოლოზისა; ეს ტაძარი არაფრით შესანიშნავი არ არის. სამსხვეპლო ამ ეკკლესიაშ მეორე სართულში. ამ ეკკლესიის ცოტა მოშორებით ყოფილა სასადილო სახლი მონასტრის ძმათათვის. ამ შენობის დღეს მარტო დარჩენილა კედლები და საკმაოდ მშვენიერი შესავალი.

წმ. გიორგის ეკკლესია.

სობოროდამ აღმოსავლეთით არის ძველი ეკკლესია წმ. გიორგისა. ეს ეკკლესია აუშენებია მეფე დავითს სწორეთ იმ ადგილზე, სადაც მას გა-

მოეცხადა მთავარ-მოწამე გიორგი და უჩვენა მას ტაძრის აღშენება, თორემ მეფეს უფრო ზემოდ სურვება დაწყება ეკლესიისა. მეფის მოძღვარს არსენის, რომელიც მეფესთან ერთად ილოცვიდა თურმე ამ სასწაულებრივ გამოცხადების დროს, გაუგონია მხოლოდ ზეციური ხმა და უხილავს, რომ დავითი დახრილა მიწაზე, მაგრამ ლირსი ვერ გამხდარა პირისპირ ეხილა მთავარ-მოწამე. ეკლესია დიდი არ არის, მაგრამ დიდი ხნის კია. კედლები წმ. გიორგის ეკლესიისა, რომელიც აღშენებულია დავით აღმაშენებელისაგან 20 წლით ადრე, ვინემ უმთავრესი ტაძარი, მორთულია მხატვრობით, რომელიც უფრო წმიდათ და ხელოვნურად არის გაკეთებული, ვინემ უმთავრესი ტაძრისა. კანკელის ზემოდ ჩაყენებულია სასწაულთ-მომქმედი ხატი ბიჭვინტის ღვთისმშობლისა, რომელიც არის საფუძველი ქრისტიანობისა მთელს აფხაზეთში. ეს ხატი გადმოტანილ იქმნა ქათალიკოსის ზაქარიასაგან.

გაენათის მონასტრის უძრავი ქონება.

უწინდელს დროში გაენათის მონასტერს ჰქონდა ბევრი ტყეები და სახნავი ადგილები, რომლის შემოსავალი ინახავდა მონასტრის ძმათა. შემდეგ დროებში ტყეები მოსჭრეს; სახნავ-სათესი ადგილები აღარ ვარგოდენ სახნავ-სათესად და ბოლოს ყველა ეს

ადგილები სხვა საეკკლესიო ადგილებთან ერთად გადვიდენ სახელმწიფო გამგეობაში. დღეს მონასტერს ძალიან ცოტა უძრავი ქონება აქვს, ასე რომ ამ ადგილებიდგან ორას მანეთამდეც არ შემოდის. მონასტრის ძმანი აქ ისე არ მუშაობენ, როგორც რუსების მონასტრებში შრომობენ რუსის ბერები. თითოეული მათგანი სჯერდება მცირე ჯამაგირს და ამიტომ სხვა საქმეს აღარ ჰკიდებს ხელსა. ამიტომაც ეს შესანიშნავი მონასტერი დღეს ძალიან სამწუხარო მდგომარეობაშია. ძმათა რიცხვს არ ემატება, მაგრამ ეს სამწუხარო მოვლენა გაენათის მონასტრის გარდა სხვა მონასტრებშიაც ხშირია.

გაენათის მონასტერში ამ უკანასკნელ ხანამდე ინახებოდა ხელ-ნაწერი, რომელიც შეიცავდა დავით ალმაშენებელის ცხოვრების აღწერას. ეს ხელ-ნაწერი დაწერილი იყო მისი სწავლული მოძღვრის არსენისაგან. ეს ხელნაწერი წაიღო გაენათის მონასტრიდამ უკანასკნელმა მიტროპ. დავითმა (წერეთელთაგანი იყო) და დროებით გადასცა თავის ძმას გრიგორის, რომელმაც ეს ხელ-ნაწერი გადაცა თავის წმისწულს, რომლის ხელში გაჰქრა ეს ხელ-ნაწერი. არ შეიძლება, რომ დღეს ზოგიერთებს არ ექნეს ამ ხელ-ნაწერის პირები.

ვათავებთ რა გაენათის შესანიშნავი მონასტრის აღწერას, საჭიროდ ვრაცხთ მოვიყვანოთ აქვე ამ მონასტრის დამაარსებელის, მთელი ივერიის და აფხაზეთის კეთილ-მორწმუნე მეფის დავით ალმაშენებელის ცხოვრების მოკლე აღწერა.



შესანიშნავი ნივთები გელათის მონასტრისა.

მოკლე აღწერა

მთელი იბერიის და ოფხაზეთის კეთილ-მოწყმუნე მეფის დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა.

მთელი ივერიის ⁊ აფხაზეთის მეფე დავით III აღმაშენებელი.

ჩვენ ყველანი ოქროს საუკუნედ უწოდებთ თამარ მეფის დროს. გარნა თუ განგებულებას არ ენებებია დავით აღმაშენებელის გამეფება XI-ტე საუკუნეში, არ გვჯერა, რომ ისე დიდებული ყოფილიყო თამარ მეფის დრო, როგორი დიდებულიც შეიქნა დავით მეფისაგან მთელი საქართველოს სახელმწიფოის განმტკიცების და აღშენების შემდეგ.

1088 წელში, როგორც მოგვითხრობს მატიანე, იმერეთის და ქართლის მეფე გიორგი II-ემ დაუთმო სამეფო ტახტი თავის შვილს დავითს. ძალიან მძიმე დროს შეხვდა დავითს გამეფება. ალპ-არსლანის და მალექ-შახის ჯარების მრავალ გზის თავდასხმამ 40 წლის განმავლობაში, წინა-მოადგილის უზრუნველობამ და უვარგისმა მმართველობამ უკიდურესად დაა-

უძლურა და გაარეხრა სამეფო, შეარყია კავშირი მეფესა და ქვეშევრდომთა შორის, დაბადა განხეთქილება სამღვდელოებას და სამწყსოთა შორის, თავადთა და აზნაურთა როგორც ერთმანეთში, ისე ხალხთანაც. გარყვნილება, თავ-გასულობა, თავის პირდა-პირ მოვალეობათა შესახებ დაუდევნელობა, სხვისი ქონების დასაკუთრება და ბევრი სხვა უკანონო მოქმედებანი, როგორც მოგვითხრობს მემატიანე—ეი ჩვეულებრივი და ხშირი მოვლენანი მაშინდელ ქართველთა ცხოვრებაში. ეი ამ გაჭირების დროს 16-ტი წლის მეფის წული დავითი, საესე ძალით და სიცოცხლითა,—მამის სიცოცხლეშივე ვეზირების და ხალხის სურვილისა თანახმად იღებს ხელში სამეფო კვერთხს ამ უბედურებათა მოსაპობელად.

საქართველოს სამეფო, რომელიც ძლიერი იყო ბაგრატ მეოთხის დროს, XI საუკუნეში გიორგის მეორის, კუროპალატის დროს, სათათრეთის ძლიერების ზედგავლენისა გამო, ცოტ-ცოტად ღანაწილდა. ზოგიერთი სამთავროები მოშორდენ და თათრების შემწეობით გამოცხადებულ იქმნენ დამოუკიდებლად. შემდეგ ამ სამთავროთა შორის ჩამოვარდა ჩხუბი და განხეთქილება, რომელმაც საქართველოს სამეფო მეტად დაასუსტა. ამით ისარგებლეს თათრებმა და გამოჩენილის სარდალის მელექ-სულთანის წინამძღოლობით ისინი შემოესივნენ საქართველოს სამეფოის სამზღვრებს, ყოველივეს, რაც კი მათ გზაზე ხვდებო-

დათ, სწავდენ და ჩეხდენ. მეფე გიორგის ძლიერი ჯარი ბევრგან ამარცხებდა თათრების ჯარებსა, მაგრამ შემდეგ თათრები გახდენ საქართველოის სამეფოის მუდმივ მეზობლებად, და არას დროს მას მოსვენებას არ აძლევდენ. 1080 წელში თათრის მრავალი ჯარები შემოესივნენ საქართველოს ყოველი კუთხიდგან. ქრისტიან მოწამეების სისხლი მდინარესავით სდიოდა. ერთი ტკაველი მიწა არ დარჩენილა საქართველოში, რომ ქრისტიან ქართველების სისხლით არ მორწყულიყოს; ერთსა და იგივე დროს თათრებმა დასწვეს ქუთაისი და არდანუჯი. დარჩენ მხოლოდ ქალაქების, ეკკლესიების და მონასტრების ნახევრობით დანგრეული კედლები და ქვების გროვები. ვერ გამოსთქვამს კაცი იმ უბედურებას, რა უბედურება და რა წყალება ადგა უსჯულო თათრებისაგან საქართველოს მკვიდრთა. კახეთის მეფემ აგქსარტან I მიიღო მაჰმადის სარწმუნოება და თათრების შემწეობით დარჩა ისევ მეფედ. მთელი საქართველო გარდა აფხაზეთისა და იმერეთის ზოგიერთი ნაწილებისა სამწუხარო მდგომარეობაში იყო. ასეთ სამწუხარო მდგომარეობაში იყო საქართველო, როცა მეფე გიორგიმ გადასცა გვირგვინი თავის 16 წლის შვილს დავითს. დავითი მამის სიცოცხლეშივე აღყვანილ იქნა ტახტზე. მამის სიკვდილის შემდეგ 1089 წელში ახალგაზდა მეფე დავითი შეუდგა ფიქრს, თუ ივერიის ნანგრევებზე როგორ დაარსოს უწინდელი ძლიერი საქართ-

ველოს სამეფო და ხალხს როგორ მიანიჭოს მშვიდობიანი და მყუდრო ცხოვრება და როგორ განაახლოს დანგრეული მონასტრები და ტაძრები. „უფალო ძალითა შენითა იხარებდეს მეფე და გულისთქმაი გულისა მისისა მიეც მას». მეფე დავითს იმედი ჰქონდა უფლისა, რომელსაც არ დაუგდია ის უშემწეოდ. უფალმა მიანიჭა მას ძალა აღსრულებად მისი კეთილი სურვილისა,

ჭაბუკმა მეფემ გაამართლა ყველას მოლოდინი და მოჰკიდა საქმეს ხელი სრული ენერგიითა და საქმის ცოდნით, როგორც შეეფერება მხოლოდ დიდბუნებიან, გენიოსობით და ღვთის კურთხევით დაჯილდოებულ კაცთა. აღადგინა რა სამეფოში მშვიდობიანობა და წესი, დავითმა აოხრებული სამეფო კვალად აღაჰყვავა კიდით-კიდემდე; განაახლა დამწვარნი სოფელნი და ქალაქნი და სამშობლო ქვეყანას მოსწმინდა შეურაცხობის ლაქა.

ქართლის მემატიანენი მოწმობენ, რომ როცა მეფე დავითი ტახტზე აღვიდა, მთელს ქართლში არ ყოფილა არც ერთი შენობა, რომ თათრებისგან დანგრეული და გაცარცული არ ყოფილიყოს. მხოლოდ ერთი მთიანი სამთავრო, სახელად «კიდე კარი» მის გარემო მდებარე ადგილებით გადარჩენ თათრებისაგან დამხობას და აოხრებას. აქ იყო უძლიერესი თავადი ლიპარიტ ორბელიანი, რომელსაც სურდა მეფობის ხელში ჩაგდება. თავისი პიროვნული ინტე-

რესებისა და სულთან მელეკის სასიამოვნოდ მან მიიღო კიდეკ მაჰმადის სარწმუნოება; ამის შემდეგ ის ძალიან მტრულად უცქეროდა მეფე დავითს, და მეცადინობდა, რომ მისგან სრულებით დამოუკიდებელი გამხდარიყო. მეფე დავითმა დიდხანს ითმინა მისი ვერაგობა, როგორც მისი ერისთავისა, მაგრამ ამ-პარტავანი ლიპარიტი არ ჩაეარდა გულის ხმაში. ბოლოს მეფე დავითმა იხმარა ყოველივე საშუალება, რომ ლიპარიტი გასწორებულიყო, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ პატიოსნური ქცევით ვერას გააწყობდა ურჩ თავადთან, მოიხმო ის თავისთან. ლიპარიტი მალე გამოცხადდა. მეფე დავითმა ჩამოართვა მას თავადის ღირსება და ჩააჯინა საპატიმროში, სადაც მან გაატარა ორი წელიწადი. ამის შემდეგ ის გაგზავნეს კონსტანტინეპოლში სულთანთან, სადაც მალე კიდეც მოკვდა. ამ შემთხვევის შემდეგ მეფე დავითთან მოდიან კახეთის თავადები და უჩივიან კახეთის მეფეს აგქსარტანს სასტიკ მოქმედებისათვის. დავითმა შეიყვანა ჯარი კახეთის სამეფოის საზღვრებში და გამოაგდო იქიდამ მეფე აგქსარტანი, ხოლო მის ადგილზე დასვა კახეთის მეფედ კვიდკე მეოთხე, რომელიც მთლად დამოკიდებული იყო დავითისაგან.

ამ მშვენიერი და ბრწინვალე გამარჯვებათა შემდეგ, რომელიც ჩადინა დავითმა, შირვანის და ახალციხის სამფლობელოებს სხვა თავადები თავის ნებით გამოცხადდენ დავითთან და აღიარეს მისი

ველოს სამეფო და ხალხს როგორ მიანიჭოს მშვიდობიანი და მყუდრო ცხოვრება და როგორ განაახლოს დანგრეული მონასტრები და ტაძრები. „უფალო ძალითა შენითა იხარებდეს მეფე და გულისთქმაი გულისა მისისა მიეც მას». მეფე დავითს იმედი ჰქონდა უფლისა, რომელსაც არ დაუგდია ის უშემწეოდ. უფალმა მიანიჭა მას ძალა აღსრულებად მისი კეთილი სურვილისა,

ჭაბუკმა მეფემ გაამართლა ყველას მოლოდინი და მოჰკიდა საქმეს ხელი სრული ენერგიითა და საქმის ცოდნით, როგორც შეეფერება მხოლოდ დიდბუნებიან, გენიოსობით და ღვთის კურთხევით დაჯილდოებულ კაცთა. აღადგინა რა სამეფოში მშვიდობიანობა და წესი, დავითმა აოხრებული სამეფო კვალად აღაჰყვავა კიდით-კიდემდე; განაახლა დამწვარნი სოფელნი და ქალაქნი და სამშობლო ქვეყანას მოსწმინდა შეურაცხობის ლაქა.

ქართლის მემატიანენი მოწმობენ, რომ როცა მეფე დავითი ტახტზე აღვიდა, მთელს ქართლში არ ყოფილა არც ერთი შენობა, რომ თათრებისგან დანგრეული და გაცარცული არ ყოფილიყოს. მხოლოდ ერთი მთიანი სამთავრო, სახელად «კიდე კარი» მის გარემო მდებარე ადგილებით გადარჩენ თათრებისაგან დამხობას და აოხრებას. აქ იყო უძლიერესი თავადი ლიპარიტ ორბელიანი, რომელსაც სურდა მეფობის ხელში ჩაგდება. თავისი პიროვნული ინტე-

რესებისა და სულთან მელეკის სასიამოვნოდ მან მიიღო კიდეც მაჰმადის სარწმუნოება; ამის შემდეგ ის ძალიან მტრულად უცქეროდა მეფე დავითს, და მეცადინობდა, რომ მისგან სრულებით დამოუკიდებელი გამხდარიყო. მეფე დავითმა დიდხანს ითმინა მისი ვერაგობა, როგორც მისი ერისთავისა, მაგრამ ამ-პარტავანი ლიპარიტი არ ჩაეარდა გულის ხმაში. ბოლოს მეფე დავითმა იხმარა ყოველივე საშუალება, რომ ლიპარიტი გასწორებულიყო, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ პატიოსნური ქცევით ვერას გააწყობდა ურჩ თავადთან, მოიხმო ის თავისთან. ლიპარიტი მალე გამოცხადდა. მეფე დავითმა ჩამოართვა მას თავადის ღირსება და ჩააჯინა საპატიმროში, სადაც მან გაატარა ორი წელიწადი. ამის შემდეგ ის გაგზავნეს კონსტანტინეპოლში სულთანთან, სადაც მალე კიდეც მოკვდა. ამ შემთხვევის შემდეგ მეფე დავითთან მოდიან კახეთის თავადები და უჩივიან კახეთის მეფეს აგქსარტანს სასტიკ მოქმედებისათვის. დავითმა შეიყვანა ჯარი კახეთის სამეფოის სამზღვრებში და გამოაგდო იქიდამ მეფე აგქსარტანი, ხოლო მის ადგილზე დასვა კახეთის მეფედ კვიდკე მეოთხე, რომელიც მთლად დამოკიდებული იყო დავითისაგან.

ამ მშვენიერი და ბრწინვალე გამარჯვებათა შემდეგ, რომელიც ჩადინა დავითმა, შირვანის და ახალციხის სამფლობელოებს სხვა თავადები თავის ნებით გამოცხადდენ დავითთან და აღიარეს მისი

თვით-მპყრობელობა საქართველოში. ამის გარდა დავითი მთლად განთავისუფლდა მოუსვენარი თავადებისაგან, რომელნიც არყევდნენ სახელმწიფოის შინაურ მშვიდობიანობას და ამ სახით საქართველოში დამყარებულ იქმნა **ერთ-სელმწიფობა.**

მაგრამ საქართველოის აღდგენისა და კეთილ-ღლეობისათვის საჭირო იყო, რომ საქართველოის სამეფო სრულიად განთავისუფლებულიყო სათათრეთის მონებისაგან. ამ მიზნისათვის დავითმა დაიწერა ჯვარი კიპჩაკის მეფის ქალზე მშვენიერ გურანდუხზე. დავითმა ამ მეფის შემწეობით გაგზავნა ჯარი მთიულ ოსების წინააღმდეგ; ეს ოსები ხშირად ეცემოდენ ხოლმე ქართველებს და აწუხებდენ. ოსები დაემორჩილენ მეფე დავითს და მისი წინადადებისა მებრ 50,000 ოსმა მიიღო ქრისტიანობა. მეფე ატრაქის მრავალ რიცხოვანი ჯარის შემწეობით დავითმა შემოუერთა საქართველოს ყველა ის ადგილები, რომლებიც წინეთ განცალკევებულნი იყვნენ საქართველოს ერთობისაგან და სრულიად განთავისუფლდა ოსმალების უფლებისაგან და სულთანების ზედ-გავლენისაგან. ამ საქმეში დიდი შემწეობა აღმოუჩინა დავითს შემდეგმა გარემოებამ: 1101 წელში ჯვაროსნებმა დაიკავეს იერუსალიმი და ანტიოქია, რომლებიც დაპყრობილი ჰქონდათ მუსულმანებს. ამან ძალიან შეარყია სათათრეთის ძლიერება, ამისათვის სათათრეთმა უმეტესი თავისი

ძალა მიჰმართა ჯვაროსანთა წინააღმდეგ. მეფე დავითმა იშოვა დრო და გამოუცხადა რომ მუსულმანებს, რომელნიც დაბინავებულნი იყვნენ მდინარე მტკვარის და იორის ჭალებში. ღვთის შემწეობით მეფე დავითმა სძლია მუსულმანებს და გააძევა ისინი არა მარტო ქართლიდგან, კახეთიდგან და ყარაბაღიდგან, არამედ თავის სამეფოის ყველა ადგილებიდგან. ამის შემდეგ მეფე დავითმა გამოაცხადა თავის თავი დამოუკიდებელ მეფედ და უარი უთხრა სულთანს ხარკის ძღევაზე. ამ სახით მეფე დავითმა განთავისუფლა თავის სამეფო გარეგანი და შინაგანი მტრებისაგან და შემდეგ უმეტესი ყურადღება მიაქცია სახელმწიფოს შინაგან კეთილ-განწყობილებას; რომ უფრო კარგად ემართა ხალხი და უფრო გაეცელებია ხალხში განათლება, მეფე დავითმა დაანაწილა მთელი საქართველო რამდენიმე სამოურაოდ, თვითეულ სამოურაოს ჰყავდა თავისი საკუთარი მმართველი, რომელსაც მისდამო რწმუნებულ სამოურაოში უნდა აღედგინა ზნეობა და მოესპო თვითმნებლობა. ასრეთივე ზომები მიღებულ იქმნა სასულიერო უწყებაშიაც რადგანაც ოსმალების მფლობელობის დროს ქრისტეს სარწმუნოება ძალიან შეირყა. ქრისტეს სარწმუნოების აღსადგენათ მეფე დავითმა 1103 წელში მოიწვია კრება ქათალიკოზის იოანნეს მესამის თავსჯდომარეობით. კრებაზე მოწვეულ იქმნენ ყველა შესანიშნავი მწყემსნი. ამ კრე-

ბაზე გამონახეს სხვა და სხვა ზომები, რომელთა შემწეობით უნდა აღედგინათ ეკკლესიის გარეგანი და შინაგანი კეთილ-დღეობა.

უწინდელს დროში საქართველოში სწავლა-განათლების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მონასტრებს. ამ მონასტრებიდგან, რომელნიც დაარსებულ იქმნენ სირიელ ბერთაგან, მთელს საქართველოში ერცელდებოდა განათლება. მონასტრებში სწავლობდენ მეცნიერებას და სხვა და სხვა ხელოვნობას. მონასტრებიდგან გამოდიოდნენ ნასწავლი მწყემსნი, რომელნიც თავიანთი სარწმუნოებით და ცხოვრებით მაგალითნი იყვნენ სხვებისათვის, მაგრამ დავითის გამეფების დროს, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, შესანიშნავი მონასტრები მთლად დანგრეულნი იყვნენ თათრებისაგან. ამ არეულობის დროს ისარგებლეს ზოგიერთ სასულიერო პირებმა და გამოაცხადეს თავის თავი ეპისკოპოსებად და უკანონოდ ხმარობდენ თავიანთ უფლებას. დაბალი სამღვდელოება და ეკკლესიის მოსამსახურენიც ძალიან ცუდათ იქცეოდნენ. ამ უწესოების მოსასპობლად მეფე დავითმა საჭიროდ დაინახა სამღვდელოების კრების დანიშვნა, რომ ამ კრებაზე მოელაპარაკნათ საეკკლესიო საქმეებზე. კრება კიდეც შედგა, როგორც ზემოთ მოვიხსენეთ.

ამ კრებაზე დაესწრნენ: არსენ იყალთოელი, მოძღვარი მეფე დავითისა, ეფრემ უნცროსი, იოანნე

ტაიჭი, საბა სულაიძე, თეოფილე, ანტონ ტბელი, ექვთიმე გრძელი, და იოანე რუხვაძე. ამ კრებამ მსოფლიო კრებათა და ეკლესიურ კანონთა თანახმად, მისცა შეჩვენებას ისინი, რომელთაც უკანონოდ მიითვისეს ეპისკოპოსობა. კრების ასრეთს დადგენილობას შეეძლო ცუდი შედეგები გამოეწვია, რადგან გადაყენებულ ეპისკოპოსებს, რომელთაც კავშირი ჰქონდათ დიდ და გავლენიან პირებთან, მათი შემწეობით შეეძლოთ დიდი ვნება მიეყენებიათ ეკლესიისა და სახელმწიფოისათვის; მაგრამ ბრძენმა დავითმა ეს საქმე ისე კარკად წაიყვანა, რომ კრების ამ გვარი დადგენილობით არავითარიმე ვნება არ მიცემია არც ეკლესიას და არც სახელმწიფოს. ამ კრებამ აგრეთვე გადააყენა მღვდელობისაგან და ეკლესიური მონანება დაუნიშნა იმ მწყემსთა, რომელნიც თავის ცხოვრებით და ზნეობით არ შეეფერებოდენ თავის ხარისხსა, ხოლო ეკლესიის დაბალი მოსამსახურენი შერიცხულ იქმნენ საერო წოდებაში. ამ სახით აღდგენილ იქმნა წესიერება ეკლესიის მმართველობის საქმეში. მაგრამ დანგრეული ეკლესიების და მონასტრების გასაახლებლად საჭირო იყო მეფის შემწეობა. მონასტრები და მათში მცხოვრები ბერები ხშირად იფარავდენ ხოლმე სახელმწიფოს აოხრებისაგან, ხოლო ხალხში იცავდენ სარწმუნოებას. ამიტომ მეფე დავითმა ყურადღება მიაქცია მონასტრებს და ეკლესიებს, რომელ-

თაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ სახელმწიფოისა და ხალხისათვის. დავითმა, როცა კი მოისვენა მტრებისაგან, მიჰყო ხელი დანგრეული და დაქცეული ეკლესიების და მონასტრების განახლებას და ახლების აღშენებას. სხვათა შორის, დავითმა აღაშენა წმ. გიორგის ეკლესია იმ ადგილს, სადაც დღეს გაენათის ტაძარი და აქვე დაარსა ღვთის-მშობლის სახელზე მონასტერი. მეფე დავითი ამშვენებდა ტაძრებს ძვირფასი ნივთებით; მეფემ ამ ახალ მონასტრებში შეჰკრიბა კეთილ-მორწმუნე ბერები, რომელნიც განსხვავდებოდენ თავიანთი წმიდა ცხოვრებით. მონასტრების და მათში მცხოვრებ ბერების შესანახავად მეფე დავითი დიდძალ ადგილმამულებს სწირავდა ხოლმე ამ მონასტრების და ეკლესიების სასარგებლოდ. გაენათის მონასტერთან დავითმა დაარსა საავად-მყოფო და სამოწყალო სახლი სნეულთა და გაჭირვებულთათვის.

ივერიის ეკლესია, რომელიც კინაღამ მთლად არ დაიმხო მტრებისაგან, ხელახლად აჰყვავდა ძლიერი მეფის დავითის შემწეობით: აი ამისათვის მეფე დავითს ქართველი ხალხი უწოდებს აღმაშენებელს.

ამის შემდეგ დავითმა მიაქცია ყურადღება საქართველოის ზოგიერთ სამოურაოებს, რომელნიც კიდევ თათრების ხელში იყვნენ. მაგრამ ჩვენ აქ არ შეუდგებით დავითის მრავალ გზის მტრებზე გამარჯვების აღწერას, რადგან ეს საშოქალაქო ისტორიის

საქმეა. ჩვენ მხოლოდ შევეხებით დავით ალმაშენებელის კერძო ცხოვრებას.

მეფე დავითი შესანიშნავი იყო თავის წმიდა ცხოვრებით და ღვთისადმი დიდის სიყვარულით; ის ყოველთვის მზად იყო ედიდებია ღვთის სახელი. როცა მეფე დავითი მუსულმანებს ეომებოდა, ერთის მხრით სახეში ჰქონდა იმ სამფლობელოების შემოერთება საქართველოსთან, რომელნიც დაშორებულნი იყვნენ საქართველოს ერთობისაგან და მეორეს მხრით სურდა ქრისტიანობის აღდგენა იმ სამფლობელოებში, რომელნიც დაპყრობილნი ჰქონდათ თათრებს. როცა მეფე დავითი მტრებისაგან ისვენებდა, კითხულობდა სასულიერო შინაარსის წიგნებს, წმ. მამათა ნაწერებს და მტრებთან ჩხუბის დროსაც კი დადიოდა ეკკლესიაში მწუხრის და ცისკრის მოსასმენად. მწუხრის მოსმენის შემდეგ მეფე დავითი კითხულობდა ხოლმე სულის სასარგებლო წიგნებს და როცა თავად არ შეეძლო კითხვა, ან დრო აღარ ჰქონდა, მაშინ ხვეას დაიყენებდა თავისთან და იმას აკითხებდა ხოლმე. საღმრო წერილის წიგნებში დავითს განსაკუთრებით უყვარდა თურმე სამოციქულოს კითხვა. როცა ამ წიგნს მთლად წაიკითხავდა ხოლმე, წიგნზე ასვამდა ნიშანს, რომელიც აჩვენებდა, რომ მან წიგნი ბოლომდის წაიკითხა. წლის დამლევს მემატიანეს მოთხრობით, წიგნის ბოლოს აღმოჩნდებოდა ხოლმე თურმე 24 ასეთი ნიშანი; აქედან სჩანს, რომ წლის

განმავლობაში 24 ჯერ წაიკითხავდა ხოლმე წმ. სამოციქულოს. დავითს უყვარდა სალმრთო წიგნების და წმ. მამათა ნაწერების კითხვა და მასთან თვითონაც ადგენდა სხვა და სხვა სძლის-პირთა. ერთის სიტყვით დავითი იყო მთელი აღმოსავლეთის მშვენიერება და მისი წყალობით ჰყვავოდა ყოველი კეთილი და ქრისტეს სარწმუნოება. ის იყო მაგალითი ყველა წოდების პირთათვის: პატარაობიდგან დაწყებული სიკვდილამდის მან არ იცოდა, თუ რა იყო ქვეყნიური დროს-გატარება და სასეირნო ადგილები. თუმცა მისი ძლევა-მოსილი ჯარი სხვა-და-სხვა თემის ხალხისაგან იყო შემდგარი, მაგრამ ამ ჯარში ძვირად ნახავდა კაცი რაიმე უწესო თამაშობას, დროს-გატარებას, გალობას და ჯარის კაცთა სასეირნო ადგილებში სიარულს; ჯარის საყვარელი ვარჯიშობა იყო სულის სასარგებლო წიგნების კითხვა, რომლის მაგალითს ჯარის კაცთა თვით მეფე აძლევდა. მეფე დავითის ვრცელი ხამეფოის სამღვდელოება შესდგებოდა შესანიშნავ მეუდაბნოეთაგან და თავის დროის შესაფერ ნასწავლ პირთაგან, რომელთაც თავის ნაწერებით დაამშვენეს სასულიერო მწერლობა საქართველოს ეკლესიისა. ტაძრები, მონასტრები და ლავრები გამშვენებულნი იყვნენ ყოველივე საჭირო ნივთებით. საქართველოის ეკლესია დავითის დროს წარმოადგენდა ერთ ვრცელ ტაძარს, რომელშიაც მსახურებდენ გამოჩენილნი მწყემსნი; ეს მწყემსნი განსხვავდე-

ბოდნენ წმ. ცხოვრებით. მეფე დავითს უყვარდა ბერები და მეუდაბნოეები და მათთან ხშირად მთელი დღე ბაასობდა სარწმუნოებაზე. თვითონ დავითი მიმართულებით ნამდვილი მეუდაბნოე იყო. თუმცა დავითს შეძლება ჰქონდა, მაგრამ ეკლესიისაგან დაწესებულ მარხვას ძალიან სასტიკად ინახავდა.

მეფე დავითი მეტად მოწყალე და გულშემატკივარი იყო. ის მუდამ მზად იყო შემწეობა აღმოეჩინა გაჭირვებულთათვის. მეფე თავის ხელით ურიგებდა სამოწყალოს ყველას და არ შედიოდა იმის განხილვაში, თუ ვინ რისი მექონე იყო. სამოწყალოის ფარულად დარიგებაში შველოდა მეფე დავითს მისი მოძღვარი. ერთხელ მეფე დავითმა მისცა თურმე თავის მასწავლებელს, ქათალიკოსს იოანნეს, ღარიბების დასარიგებლად 24,000 დრაჯმა. მეფე მუდამ ღარიბებზე ზრუნავდა და ცდილობდა გაეადვილებინა მათთვის ცხოვრება. ამ მიზნით მეფემ თავის ვრცელ სამეფოში მრავალს ადგილს დაარსა თავის ხარჯით საავადმყოფოები, თავშესაფარი სახლები და სკოლები გაჭირვებულთათვის. როცა დავითი სახელმწიფო საქმეებს რჩებოდა, ნახულობდა ავადმყოფებს და ღარიბებს, თავის ხელით ემაახურებოდა და აძლევდა მათ ნუგეშს. ერთი სიტყვით დავითი ყველას მამობრივი სიყვარულით ეკიდებოდა. დავითი ამავე დროს ცდილობდა გაეუმჯობესებია სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობა და აღემაღლებია სამღვდელოება ხალ-

ხის თვალში, ამ მიზნით მეფემ ყველა მონასტრები და საეკლესიო მოსამსახურენი განათავისუფლა ყოველივე სახელმწიფო გადასახადისაგან; მონასტრებს და ეკლესიებს შესწირა დიდ-ძალი ადგილ-ჰამუულები კრებულის სასარგებლოდ. ასეთ მზრუნველობას იჩენდა დავითი არა მარტო საქართველოის მონასტრებისა, ეკლესიების და მათი მოსამსახურეების შესახებ, არამედ მეფემ ბევრი ფული და ადგილები შესწირა საბერძნეთის წმიდა ადგილების სასარგებლოდ. დიდძალ საჩუქრებს გზავნიდა ხოლმე მეფე იერუსალიმში, კიპრის და სირიის მონასტრებში. მეფე დავითმა გააჭიდრა და გაამშვენა შავი მთის მონასტერი სირიაში, ამავე დროს დავითი ბევრს ზრუნავდა უფლის სასაფლაოზე. ყოველი მგზავრი, რომელიც კი ცოტაოდენად დააკვირდება უფლის სასაფლაოს უზარ-მაზარ შენობას, ადვილად შენიშნავს, თუ რამდენი უშრომიათ ამ წმიდა ადგილის სასარგებლოდ ჩვენი საქართველოის მეფეთ: დავითს, თამარს და სხვათა. მეფე დავითი მუდამ ზრუნავდა იერუსალიმის მონასტრებზე, დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის დავითს აგრეთვე სინაის მთის მონასტრისადმი. თუმცა ეს ადგილი ძალიან შორს იყო საქართველოდამ და გზაც საშიში და ცუდი, მაგრამ დავითი ვერც ერთმა ამაებმა ვერ შეაშინა. მან ამ მთაზე ააშენა ეკლესია წმ. მოწამის ეკატერინეს სახელობაზედ. ეს ეკლესია დღესაც არსებობს ამ მთაზე. ამ მონასტრებში და ტაძრებში

მეფე აყენებდა ქართველ ბერებს; მონასტრებს და ტაძრებს უგზავნიდა სააკლესიო წიგნებს, ხოლო ეკ-კლესიების და მონასტრების მოსამსახურეთ აძლევდა ყოველთვის წლიურ სარჩოს. მეფე ზრუნავდა არა მარტო ეკკლესიაზე; ის ამავე დროს ფიქრობდა თავის ვრცელი სამეფოის კეთილ-განწყობილებაზე: აკეთებდა გზებს, რომლის შემწეობით უადვილებდა ერთმანეთ-ში მისვლა-მოსვლას თავის სახელმწიფოის დაშორებ-ულ მაზრების მცხოვრებთ; ანახლებდა ხიდებს, რომ-ლებიც გაფუჭებულნი იყვნენ მტრებისაგან.

მეფემ დააყენა მსაჯულები და მოსამსახურენი. უწინდელს დროში ვისაც რაიმე საქმე ანუ საჩივარი ჰქონდა მეფესთან, მეფის გზაზე გავლის დროს უნდა შესულიყო მაღლა ხეზედ, ანუ გორაზე, რომ ის და-ენახა მას. ამ კაცს იქიდგან უნდა ენიშნებია, რომ მეფესთან აქვს საქმე. მხოლოდ ამ შემთხვევაში მი-ღებდენ მის თხოვნას. მეფემ შენიშნა, რომ ბევრს მის ქვეშევრდომთ სურსთ მეფის ნახვა, მაგრამ ზო-გიერთი მიზეზისა გამო არ შეუძლიათ მასთან მისვლა; ამის გამო მეფემ დააყენა განსაკუთრებითი მოსამსა-ხურენი, რომელთაც უნდა მიეღოთ თხოვნები და გაერჩიათ საქმე; დააყენა აგრეთვე მსაჯულები, რო-მელთაც ვალად დაუდგინა ეხელმძღვანელათ საქმეე-ბის განხილვის დროს როგორც ეკკლესიური, ისე

სამოქალაქო კანონებით და იმ ქვეყნის ჩვეულებით, სადაც ინიშნებოდენ ხოლმე ისინი მსაჯულებად, რომ სახელმწიფოში დაარსებულიყო წესიერება და მყუდროება და ამაღლებულიყო ზნეობა, მეფემ დააყენა ვანსაკუთრებითი მოსამსახურენი, რომელთაც უნდა მოეხსენებიათ ხოლმე მეფისათვის მის ქვეშევრდომთა ყოფაქცევა. ქვეშევრდომნიც, მეფის სიყვარულობისა და პატივისცემისა გამო, მორიდებულნი იყვნენ უწესოებას იმ მეფის წინაღმდეგ, რომელმაც განათავისუფლა და გაანათლა მთელი სამეფო. დავითის მეფობის დროს მისი ქვეშევრდომნი მოსვენებულნი იყვნენ როგორც შინაური, ისე გარეშე მტრებისაგან. მეფე გარდაიცვალა 1125 წელში, 56 წლისა შობიდგან. სულ იმეფა 36 წ.

როცა მეფე დავითს მოუახლოვდა აღსასრულის ჟამი, ის აღიჭურვა სიხარულით და შემდეგი ანდერძი დასწერა: «გიბრძანებსთ და მოგაგონებსთ მეფე მეფეთა დავითი, თავის სიკვდილის დღეს და მის ამ ქვეყნად განსვლის დროს, უღირსი და მორჩილი ღვთის მლოცველი მამის ბერ-მონაზონის არსენის პირით თქვენ ყველა ერისთავებს და მისი სამეფოის ყველა შესანიშნავ ქათალიკოსებს, ეპისკოპოსებს და ყველა მათ, რომელნიც იყავით ჩემს მოწყალებასა ქვეშე, შემდეგს: პატარაობიდგანვე მიყვარდა სიცოცხლე, დიდება და მთავრობა და არას დროს არ წარ-

მომიდგენია ის დღე, რომელიც მე დღეს საუკუნოდ მისტუმრებს სამარეში; მენანებოდა ამ ამაო და წუთიერი ცხოვრების თავის დანებება მანობამდე, სანამ თვით ამ ცხოვრებამ არ მიმატოვა და აღვსებული მრავალი ცოდვებით და ბწყუხარებით არ წარმადგინა იმ მსაჯულის წინაშე, რომელმაც მრავალი მოწყალება მომანიჭა მე ამ ქვეყანაზე. პირველად მან მომცა მე ძე დიმიტრი, რომელიც სიბრძნით, ქველმოქმედებით და ვაჟკაცობით უკეთესია ჩემზე, და ჭეშმარიტად ამისთანა მეფე არს ჯილდო უფლისა მართალთათვის, და შთენილთა ამა სოფლად. მივდივარ წინაშე მსაჯულისა, რომლისაგან მიეიღე სამეფო, მივდივარ ნუგეშ-ცემული, რომ ძე ჩემი ყოველთვის ჩემი სურვილისამებრ იქცეოდა. დიდი ხანია მსურდა მოსვენება ამა ქვეყნის ზრუნვათაგან, მაგრამ ეცდილობდი სამეფოის დღე კეთილობაზე, რაიცა უწყის უფალმა, თვით მე და ჩემმა მოძღვარმა. უცებ დაეუძლურდი, მე მეგონა დიდხანს ვიცოცხლებდი, მაგრამ მოვსტყუვდი; მეც როგორც ჩემს მამას წილად მხვდა მოკლე ცხოვრება და რომელიც მე არ მომწონდა. დღეს, ღვთის განგებით, მივდივარ მე, ხოლო მეფედ მოიწოდების ძე ჩემი, რომელმაც უნდა მართოს ის, რაც მხვდა მე და რაც შეეძენია ჩემის და თქვენის შრომით; ე. ი. ნიკოპსიიდგან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდამ სირიამდე და არგანამდე, მე

ჩავაბარე დიმიტრის დანარჩენი ჩემი შვილები და დედოფალი და ვსთხოვე, რომ თავისი უმცროსი ძმა კონსტანტინე აღზარდოს და, თუ ღვთის მადლით, ნიჭიერი გამოდგეს, თავის შემდეგ დააყენოს მეფედ, ხოლო დებს პატივსა სცემდეს, როგორც ჩემს საყვარელს შვილებს. ყოველივე შევასრულე მე პატიოსანი და ცხოველ-მყოფელის ჯვარის ძალით და იმასვე ვაბარებ ჩემს სამეფო აბჯარს და საუნჯეს; ფულები მიეცეს უმცროსს, ხოლო ჩემს ძვირფასს ქვებს და მარგალიტებს ვსწირავ ხახულისა ღვთის-მშობლის ხატსა. ოქროს მანეთები და ეოტანიატი ატენის საუნჯისა, რომელიც მე შევიძინე ჩემის სისხლით, მიეცეს მეფეს დიმიტრის და თუ ის არ ისურვებს, მაშინ ყველა ეს ები მიეცეს ჩემს მოძღვარს, რომელსაც ვსთხოვ ღვთის სახელით, რომ ნახევარი ამ საუნჯისა მან მოახმაროს იმ მონასტრებს, რომელთაც მე ვაწყენინე, რათა ამ მონასტრებში მოსამსახურეთ ილოცონ ჩემთვის. მე მრჩება კიდევ მოუთავებელი მონასტერი, სადაც უნდა განისვენოს ჩემმა და ჩემი შვილების ძვლებმა, და ამის ჯავრი თან მიმყვება. ეხლა ჩემმა ძემ, მეფე დიმიტრიმ მოათავოს ის მონასტერი თავის და მისი შთამომავლობის საუკუნოდ მოსახსენებლად. რაც გამიცია, იმას ჩემი შვილი ნუ შეეხება; ის დასახლებული და დაუსახლებელი ადგილები, რომელნიც მე თვითონ შევიძინე, მეფე დი-

მიტრის შეუძლია უბოძოს ღრამატებით, ვისაც სურს და როგორც ისურვებენ მ. არსენი და ქათალიკოსი».

როცა დავითმა გაათავა ანდერძი, ჩააბარა ის თავის მოძღვარს, ცოტა შეისვენა, შემდეგ იგრძნო სიკვდილის მოახლოვება, მიიღო წმ. საიდუმლო და ღვთის დიდებაში განუტევა სული თვისი. მეფე დავითს დარჩა ოთხი ვაჟი შვილი: დიმიტრი, მემკვიდრე დავითისა, ვახტანგი, გიორგი, კონსტანტინე და სამი ქალი—ეკატერინე, იგივე ირინე შემდეგში საბერძნეთის დედოფალი და თამარი, მეუღლე აქსარტან შირვანელი პრინცისა და რუსუდანი. მეფე დავითის გარდაცვალებამ შეაწუხა მთელი საქართველო შავი ზღვიდგან მოკიდებული კასპიის ზღვამდე. ქართველებმა დავითში დაჰკარგეს მამა, მასწავლებელი, მფარველი და კეთილის-მყოფელი. დავითის გვამი მისმა მოძღვარმა არსენიმ მთელი სამღვდელოების თანადასწრებით დიდის პატივის-ცემით მიასვენეს გელათის მონასტერში და დაასაფლავეს უმთავრესი ტაძრის შესავალ ეკლესიაში სამხრეთის მხრით *).

---

*) დღესაც ამ კარის შესავალ ეკლესიაში სძევს კლდის ქვის ერთი დიდი თლილი ფიცარი, ნახევრობით გაცვეთილი, რომელზედაც ხუცური ასოებით არის დაწერილი შემდეგი სიტყვები ფსალმუნთ მგალობლისა: „ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნისამდე, აქ დავემკვიდრო (ეს მშვენიერი ლექსი უმეტესად მოსწონდათ ქართველებს). ამ ლექსის გარდა ამ ქვის ფიცარზე კიდევ სხვა წარწერაც ყოფილა, მაგრამ იგი დროთა განმავლობისა გამო წაშლილა, მაგრამ ხალხში ეს ლექსი დღესაც არის დაცული.

საქართველოს ეკკლესიამ მეფე დავითი მრავალ ქველმოქმედებისათვის და წმიდა ცხოვრებისათვის შერიცხა ივერიის წმიდანთა შორის და დააწესა დღესასწაული ოცდა-ექვს იანვარს მოსახსენებლად დიდისა, სახელოვანისა და წმიდისა მამისა ჩვენისა მეფე დავითისა *) თვისი

*) წმიდა და ღვთის მოუყვარე მეფე დავითი, როგორც მას აგვიწერს მისი მოძღვარი არსენი თავის ქებითი სიტყვაში დავითისადმი, ყოფილა მაღალი და მოსრული კაცი; ყოფილა ტანმრთელი აგებულობისა. მეფე დავითის მოსრულობას გვიმტკიცებენ ზოგიერთი მისი ნივთები, რომელნიც დღესაც ინახებიან გელათის ტაძრის სალარაში. ასეთ ნივთებს ეკუთვნიან: დავითის ნაქონი ბეჭედი, რომელშიაც თავისუფლად შედის კაცის ხელის სამი თითი, მეფის ნაქონი ქოშები, რომელნიც მოქარგულნი არიან ოქროთი და მარგალიტებით; ეს ქოშები ორჯერ ზეტია ჩვეულებრივ ქოშებზე და მეფის ქუდი. ამასთან დავითი ყოფილა ძალიან ლამაზი კაცი. თვალები ჰქონებია დიდი, შავი და აზრიანი, წარბები სწორი და სქელი, რომელნიც ამშვენებდენ დავითის მაღალს შუბლსა, ცხვირი სწორე და მუდამ მლიმარე ტუჩები, მოკლე და შავი წვერი და შავი თმა ამშვენებდენ თურმე დავითის ზომიერს თავს. მეფე დავითს თავზე ახურავს ოქროსაგან გაკეთებული და ძვირფასი ქვებით მორთული დაბალი გვირგვინი; ეს გვირგვინი ძალიან წააგავს ბიზანტიის იმპერატორების გვირგვინებს. დავითის გვირგვინს იქით-აქეთ ჰკიდია მარგალიტების დასაკიდი; დავითს ტანზე აცვია მეფის ტანთ-საცმელი იის ფერისა; ამ ტანთ-საცმელზე მოქარგულია ოქროს სახეები, რომლებიც მორთულნი არიან

შუამდგომელის და მფარველის უფ. ჩვენი იესო ქრისტეს ტახტის წინაშე.

ძვირფასი ქვებით. ეს ტანთ-საცმელი ჰგავს მღვდელ-მთავრის სტიხარს, მხოლოდ სახელოები აქვს მოკლე. სახელოებზე არის თათმანები, რომელნიც მოქარგულნი არიან ოქროთი, მარგალიტებით და სხვა ძვირფასი ქვებით სამაჯურების მსგავსად; მაჯას ზემოდ სახელოებზე შემოყოლებულია ოქროს ქსოვილი, რომელიც მორთულია ძვირფასი ქვებით და მოდიდო მარგალიტებით. საყელოს გარშემო შემოყოლებულია ოქროს ქსოვილი ბეჭებამდის და იქით-აქეთ არის [illegible]ადაშვერილი თავები სამღვდელ-მთავრო ომოფორის მსგავსად. გადაშვერილი თავები ბოლოზე შეერთებული არიან მსგავსივე ნაქარგით, რომელიც მორთულია მრავალი ძვირფასი ქვებით და მოდიდო მარგალიტებით; სტიხარზე შემორტყმული აქვს ვიწრო და ძვირფასი ოქროს სარტყელი. მარჯვენა ხელში უპყრია გელათის ტაძარი, ხოლო მარცხენაში—გრაგნილი; ფეხებზე აცვია ქოშები, რომელთაც ზემო პირი აქვსთ გაკეთებული წითელი ხავერდისაგან; ეს ხავერდი ძვირფასად არის მოქარგული; ქოშებს წვეროები ცოტა ზემოდ აქვსთ აშკერილი, პერსიელების ქოშების მსგავსად, სდგას მდიდარს ოქროს ხალიჩაზე. ამ სახით დავითი დახატულია საქართველოის ძველი ეკლესიების კედლებზე, რომელნიც აშენებულან დავითის დროს და გელათის ტაძრის ჩრდილოეთის კედელზე. მსგავსივე გამოხატულება შეუ დავითისა არის ქვათა-ხევის საკრებულო ტაძრის კედელზედაც.

947.922
ლ 206

მეფე დავით III აღმაშენებელის სახე, რომელიც დახატულია გელათის მონასტრის ტაძარში.

947.922
Ю 206

БУКИНИСТИЧЕСКИЙ
Метевое № 22
„САКИНГИЗ"
Индекс №
Цена